საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

პარასკევი 29 ოქტომბერი 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 10 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომის (15 × 2) 400 მანეთი ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 246 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 246

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

მწუხარებაში მყოფნი პარასკევა მიხეილის ასული და თათია მამულია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დაუვიწყარი და ძვირფასის პირველის მეუღლის, ხოლო მეორესი შვილის

ანტონ ბესარიონის ძე მამულიას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. თფილისში, 26 ოქტომბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მიხაილოვის საავადმყოფოში, პანაშვიდი იქვე ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა მოხდება ს. ფოცხოში (სენაკის მაზრა). (3479 2—1)

დაღონებულნი სიდედრი კესარია გოგუას ასული შვილებით მარიამ, იონა და მაქსიმე კუხალაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი სიძის

ანტონ ბესარიონის ძე მამულიას

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ქ. თფილისში, 26 ოქტომბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. მიხაილოვის საავადმყოფოში, პანაშვიდი იქვე ყოველ დღე საღამოს 5 ს. დაკრძალვა მოხდება სოფ. ფოცხოში (სენაკის მაზრა). (3479 2—1)

ილია, ბესარიონ, ანნა და ალექსანდრა მამულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ბიძის

ანტონ მამულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 5. საათზე, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა სოფელ ფოცხოში. (სენაკის მაზ.)
(3468 2—2)

ივანე სიმონის ძე და ბიქტორ ივანეს ძე მამულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ბიძის

ანტონ ბესარიონის ძე მამულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა სოფელ ფოცხოში. (სენაკის მაზრა).
(3468 2—2)

გულდამწვარი ტატიანა (თათია) დიმიტრი (დუტუ) ივაკა,—ბარბალე და ედუ მამულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ თფილისში მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ამა წლის 26 ოქტომბერს პირველის შვილი, მეორე და მესამეს ძმა და დანარჩენთა მაზლი

ანტონი ბესარიონის ძე მამულია

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, მიხეილ. საავადმყოფოს ეკლესიაში, დაკრძალვა სოფელ ფოცხოში (სენაკის მაზრა).
(3468 2—2)

დიმიტრი (დუტუ) ბესარიონის ძე და ბარბალე კონსტანტინეს ასული მამულიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძმა და მაზლი

ანტონ მამულია

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა სოფელ ფოცხოში (სენაკის მაზრა).
(3468 2—2)

უდროვოდ დაქვრივებული და ღრმად დამწუხრებული გრაფინა, შვილები: ძამუ, ჰუპა და სიძე მაქსიმე როსტომის ძე ჩიქოვანი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ უდროვოდ გარდაცვლილი თფილისის რკინის გზის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის

აკაკი გიორგის ძის ქუთელიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 31 ოქტომბერს, კვირას, დღის 12 საათზე დიდუბის ეკლესიაში. (340[illegible]—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ქრისტინე, შვილები: მაგდალინა, სერგო და ცირო ჯიქიები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ოქტ. ს. ონოღიაში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ გოგის ძე ჯიქია

დასაფლავება მოხდება პარასკევს, 29 ოქტომბერს, ონოღიის ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (3480 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი რძალი მართა შვილებით: პართი და ოლენკა ჯიქიები, სიძე მეთოდე, ძმის წული მიტრონა და [illegible] ქალიშვილი ქსენია (ნუხა) კაკაიები ამით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი დაუვიწყარის

სიდო გოგის ძე ჯიქიას

დასაფლავება მოხდება 29 ოქტომბერს ს. ონოღიის ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (3480 1—1)

ძმისწულები: თომა, იაკობა და ამბროსი შვილებით, რძლები ფროსა და ევდუქსი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 ოქტ. ს. ონოღიაში გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი ბიძა

სიმონ (სიდო) გოგის ძე ჯიქია

დასაფლავება მოხდება 29 ოქტ. ს. ონოღიის ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში. (3480 1—1)

სამხედრო საწყობის ს. ს. დ. პ. იაჩეიკის წევრები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ სამშაბათს 26 ოქტომბერს, სამხედრო საავადმყოფოში გარდაიცვალა საწყობის მუშა ამხ.

ერმილე ჭიქაბერიძე

გამოსვენება სოფელში წასასვენებლად მოხდება დღეს, დილის 11 საათზე. (3481 1—1)

მუდამ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ვარვარა დავითის ასული კეშელავასი და ქალიშვილი დარია თადეოზის ასული აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ შაბათს 6 ნოემბერს 11 საათზე გადახდილ იქნება ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში ორი წლის შესრულების წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი ქმრის, ხოლო უკანასკნელით ძვირფასის მამის

თადეოზ გიორგის ძის კეშელავას

სულის მოსახსენიებლად. (3484—1—1)

საქართველოს რესპუბლიკის

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება

აცხადებს ამით

წევრთა საყურადღებოთ

რომ მის ყველა სავაჭრო განყოფილებებში იყიდება წევრებზე შემდეგი საქონელი: 1) კართოფილი, 2) კომბოსტო, 3) ჩულქები ქალის, 4) კალოშები კაცის, 5) პუდრა „იავა", 6) სტოლის კოვზები,—დანა-ჩანგალი სხვა და სხვანაირი, 7) ღილები საკასტიუმე სხვა და სხვანაირი და სხვა.

(ანგ. 384 1—1)

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

29 ოქტომბერს

ევგენი ონეგინი

30 ოქტ. ოპერა მუშებისათვის—ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. 31 ოქტ. თაისი. 1 ნოემბ. ვერტერი. დასაწყისი სრულ 8 საათ. სახ. ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა

სოც. დ. ხელმძღვანელ ორგანიზაციათა თათბირზე შემუშავებულ იქნა ყოველმხრივი ზომები ჩვენი რესპუბლიკის გამოსაყვანად ეკონომიური კრიზისიდან. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს იმაში, რომ თათბირმა საერთოდ სწორე ხაზი აიღო, რომ თათბირის მიერ შემუშავებული ზომების განხორციელება გვიხსნიდა იმ საშინელს მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენი რესპუბლიკა იმყოფება. მაგრამ ჩვენ ერთი რამ გვაშინებს. ჩვენ შეგვწევს უნარი მდგომარეობის თეორიული დათვალიერებისა, მიზეზების გამოკვლევისა, ზომების შემუშავებისა. მაგრამ ყველა ამის რეალიზაციაში, „სიტყვის" „საქმედ" ქცევაში, საქმიანობაში ჩვენ საკმაო ფეხს ვერ ვიჩენთ. ჩვენ გვაშინებს ის, რომ თათბირზე შემუშავებული რეზოლუციები ქაღალდზე დარჩება და მათი განხორციელებით ხალხი, დემოკრატია, ორგანიზაციები არ ამუშავდებიან მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო თავიდან ბოლომდის დემოკრატიზმის საფუძველზეა მოწყობილი, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში განხორციელებულია ხალხის ხელმწიფება,—ზნე ჩვეულებების მხრით ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგვიღწევია თავი მონარქიზმის და ბიუროკრატიზმის პრაქტიკისათვის. ჩვენ შეთვისებული გვაქვს ის აზრი, რომ ყველაფერი, რაც სახელმწიფოს შეეხება, უნდა კეთდებოდეს „ვიღაცის" მიერ, ხალხისათვის უჩინრად, რომ სახელმწიფო საქმეებისათვის პასუხისმგებელია მთავრობა და სხვა არავინ, რომ ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა მხოლოდ მას ევალება და ხალხი კი ამ საქმეებში აქტიურად არ უნდა ერიოდეს.

ჩვენ გვაშინებს, ჩვენი აზროვნების ასეთმა ჩვეულებამ თავი არ იჩინოს დღესაც, როდესაც საშინელი კრიზისისაგან ხსნა ჩვენი ქვეყნისა იმაზეა დამოკიდებული, ჩაებმიან თუ არა მასთან ბრძოლაში მთელი ხალხის ფართო წრეები. რამდენადაც უფრო ძლიერად მოედება ხალხს „საღვთო ძრწოლა" იმ საფრთხის გამო, რომელშიაც იმყოფება რესპუბლიკა, მით უფრო დიდი იქნება იმედი მისი ხსნისა.

ჩვენი კრიზისის ერთი მიზეზთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ხალხის ფართო წრეებამდის ვერ აღწევს ის სახელმწიფოებრივი მოსაზრებები, რომლითაც გამსჭვალულია ცენტრი. პერიფერიები ვერ იცნობენ ცენტრის განზრახვებს, ამიტომ ცენტრის საქმიანობას ხელს უშლის მისგან შორს მყოფი ადგილობრივი ორგანიზაცია, სახელმწიფოს საჭიროებას ხშირად წინ ეღობება რომელიმე კერძო კუთხური სარგებლობა. ჩვენი რესპუბლიკის ეს საშინელი ნაკლი ყველაზე მეტად სურსათ-სანოვაგის საქმეში ეკონომიურ თათბირზე ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ სურსათ-სანოვაგის საქმეში ჩვენი რესპუბლიკა ლამის არის საშუალო საუკუნოების წესებს დაუბრუნდეს: ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველს ორგანოს თავისი კერძო სამოქმედო ფარგალი აქვს, თავისი „კარანტინები" აქვს გამართული და თავისი „სასურსათო პოლიტიკა" არის გაჩაღებული. თათბირმა გაუწია ანგარიში ამ მოვლენას და მის დადგენილებებში სხვათა შორის ამნაირი მუხლიც მოიპოვება: „სურსათის შემოტანა-გატანის აკრძალვის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის". რაც უნდა მტკიცე იყოს ცენტრში ეს შეგნება, სახელმწიფოს დამღუპველ ანარქიის მოსასპობად ეს არ კმარა: ამისათვის საჭიროა ეს შეგნება ცენტრიდან პერიფერიებამდის მივიდეს და ხალხის ფართო მასსის კუთვნილებად გადიქცეს. ეკონომიური თათბირის დადგენილებებში ბევრი რამ არის ისეთი, რის განხორციელებაც მთლად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ უფრო ფართო წრეები მიიღებენ მონაწილეობას მათ გატარებაში.

სწორედ აქ იშლება უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ედებათ ჩვენი დემოკრატიის სათავეში მდგომ ორგანიზაციებს: უწინარეს ყოვლისა პარტიულ ორგანიზაციებს, შემდეგ—თვითმმართველობებს, კოოპერატივებს, პროფესიონალურ კავშირებს, განმანათლებელ საზოგადოებებს, ერთი სიტყვით ყველას, ვინც კი ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დაცვა თავის პოლიტიკურ „მრწამსად" მიიჩნია. ყველა ამ ორგანიზაციებმა შეერთებული ძალით უნდა დარაზმონ მთელი ჩვენი ხალხი იმ ფართო გეგმის განსახორციელებლად, რომელიც შემუშავებულია დემოკრატიის ხელმძღვანელი ორგანიზაციების მიერ. ჩვენი პარტიის ყველა დაწესებულებებმა რაც შეიძლება მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ კამპანიაში, რომელიც დაწყებულია ცენტრში. ხელმძღვანელ ორგანიზაციების მხრით, ცენტრს დაშორებულ მცხოვრებთა შორის მათ უნდა შეიტანონ შეგნება იმ საფრთხისა, რომელშიაც ჩავარდნილია ჩვენი რესპუბლიკა და იმ საშუალებებისა და ზომებისა, რომლებმაც უნდა გამოიყვანონ იგი ამ საფრთხიდან.

პრესა

„ახ. კომუნისტმა" ხმა ამოიღო შრომის ბეგარის შესახებ. მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს პროფესიონალური კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ორგანომაც უარყო საყოველთაო სავალდებულო შრომა. პარტიულმა თათბირმა ის საჭიროთ სცნო მხოლოდ არა მშრომელი წრეებისთვის. „კომუნისტი" ამ საკითხში არ ეხება ჩვენ პოზიციას. ის ფილოსოფოსობს ვითომ არსებითად:

„არსებული სახელმწიფო არ წარმოადგენს პროლეტარულ სახელმწიფოს. თუნდაც ქვეყნის სათავეში „სოციალისტები" იდგენ, ეს არაფერს არ სცვლის არსებითად, სანამ ბურჟუაზია ხელშეუხებელია, როგორც მესაკუთრე კლასი და შრომის ექსპლოატაცია ძველებურად სწარმოებს. ბურჟუაზიის კი არსებულ პირობებში შრომის ბეგარა მხოლოდ ზედმეტ ბარგს აკიდებს და არსებითად არაფერ სარგებლობას არ მოუტანს. იმდენი უმუშევარია დღეს შრომის ბაზარზე, რომ ჩვენებურ წარმოებას ისიც ვერ დაუბანდებია და ასეთ პირობებში შრომის ბეგარის შემოღება მოასწავებდა მხოლოდ უმუშევართა დაიმედებას, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაოთი. რათ უნდა აიტკივოს უტკივარი თავი ბურჟუაზიამ როცა უამისოთაც მას მუშა-ხელი არ აკლია.

რაც შეეხება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებს, ისინიც მის მსგავს მდგომარეობაში არიან და არა თუ ვერ დააბანდებენ შრომის ბეგარის ვალდებულ პირებს, ზედმეტ ხარჯებს მიაყენებენ სახელმწიფოს საჭირო სიების შედგენაზე გაწეულ ხარჯებით. ამიტომაცაა, რომ მართველმა წრეებმა უკვე უარყვეს შრომის ბეგარის შემოღება.

შრომის ბეგარას წინ უნდა უძღოდეს სახელმწიფო მეურნეობა. ამისთვის კი საჭიროა, რომ ბურჟუაზიას ჩამორთმეული ქონდეს საკუთრება საწარმოვო საშუალებებზე. ჩვენ კი ჯერ არ მოგვეპოვება პროლეტარული ძალა უფლება და ასეთ პირობებში შრომის ბეგარის შემოღებას ჩვენ ენერგიულათ შევებრძოლებით, როგორც რეაქციონურ ზომას".

ამის დაწერა არ დასჭირდებოდა ბოლშევიკურ გაზეთს, კარგათ რომ გაეცნობოდა ჩვენს პრესაში გამოთქმულ აზრებს შრომის ბეგარის შესახებ. ჩვენ, სხვათა შორის, მაგალითად გვედგა თვალწინ საბჭოთა რუსეთი. ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ რომ ეს ქვეყანა (ე. ი. საბჭოთა რუსეთი) არ წარმოადგენს პროლეტარულ სახელმწიფოს, თუმცა მის სათავეში „სოციალისტები" ბრძანდებიან. მართალია იქაურ ჩრეზვიჩაიკებში თავები დასჭრეს „ბურჟუებს", მაგრამ ხელშეუხებელია ბურჟუაზია, როგორც მესაკუთრე კლასი, და შრომის ექსპლოატაციაც ძველებურად და უარესთაც არსებობს, თუმცა წარმოების მეთაურათ გამოდის „მუშა-გლეხობის" მთავრობა. სწორედ საბჭოთა რუსეთის მაგალითმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა ჩვენ, რომ საყოველთაო შრომის ბეგარა რეაქციონურ ზომათ გადაიქცევა იქ, სადაც სოციალიზმისთვის ობიექტიურათ ნიადაგი არ მომზადებულა.

ნუ თუ არ იცის „ახ. კომუნისტმა", რომ მის მოწონებულ სამეფოში სპეკულიანტებს და სხვა წურბელურ ელემენტებს ათასნაირი საშუალება აქვთ თავიდან აიცილონ ხოლმე სავალდებულო შრომა და სავსებით გადაბადონ ეს კისერზე უმისოთაც მთელ სიცოცხლეში მშრომელ ხალხს? იცის, მაგრამ არ უნდა, რომ ეს იცოდენ მისმა მკითხველებმა. არის ერთგვარი „ზნეობრივი" კანონი, რომელსაც დიდი გასავალი აქვს წვრილ ბურჟუაზიულ აღებ-მიცემობაში. თუ ვერ მოატყუებ, ვერც გაჰყიდი,—ასეთია ეს ზნეობა. „ახ. კომუნისტი" მოტყუებით ცდილობს ქართველ მუშა-გლეხებში კომუნისტური საქონლის გასაღებას.

დამოუკიდებელთა პარტია.

ცნობილია, რომ გერმანიის სოციალ დემოკრატია ამ მსოფლიო ომის დაწყებამდის იყო უძლიერესი პარტია ინტერნაციონალში. მისი ორგანიზაციის მოწყობილობით პარტიის წევრთა რიცხვით და მათი დისციპლინით ის იყო მისაბაძი მაგალითი ინტერნაციონალის ყველა სხვა და სხვა ნაციონალურ სექციებისათვის.

ომმა გათიშა და დაანგრია ინტერნაციონალი. ამ ომის დროს განხეთქილება მოხდა ბევრ ქვეყნების სოციალისტურ პარტიებში. გერმანიაშიც მოხდა პარტიის დაყოფა და განაწილება.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკამ და პოლიტიკამ ომის დროს დაბადა პარტიაში ბევრი უკმაყოფილო წევრები ამ ტაქტიკით და პოლიტიკით. დაბოლოს პარტია გაიყო ორ ნაწილათ, და ამნაირათ პარტიის მეორე ნაწილის გვერდით, წარმოიშვა დამოუკიდებელთა პარტია, რომელსაც მეუმრავლესეებს, ან შეიდემანის მომხრეებს უწოდებენ.

პარტიის ამ ორ ნაწილს შორის კიდევ ომის დროს მეტათ სასტიკი აზრთა წინააღმდეგობა და შეჯახება არსებობდა. ეს უთანხმოება მათ შორის კიდევ უფრო გაიზარდა გერმანიის რევოლიუციის შემდეგ.

რევოლიუციის პირველ ხანებში მეუმრავლესენი და დამოუკიდებელნი, შეიდემანი და ებერტი, ჰაზე და დიტმანი ერთად მუშაობდნენ მთავრობაში. მერმედ დამოუკიდებლებმა მიატოვეს მთავრობა და ჩაუდგნენ ოპოზიციაში, მეუმრავლესეთა მთავრობას, მათ შორის წინააღმდეგობა უფრო ღრმავდებოდა და ძლიერ სასტიკ ფორმებს იღებდა.

ამ დროს სპარტაკელების, ბოლშევიკების მომხრეების ჯგუფმა, რომელსაც კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი ხელმძღვანელობდა, იწყო ენერგიულათ მოქმედება. და იმ დროს, როცა ომში დამარცხებულ გერმანიას გამოჯავრებულნი ზავის საშინელ პირობებს უყენებდნენ. მატერიალურათ და ფსიხოლოგიურათ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გერმანიის ხალხში სპარტაკელების ჯგუფმა იგერ-აგერ მოიპოვა ნიადაგი. მაგრამ თვით ეს ჯგუფი სხვებთან შედარებით მაინც სუსტი და უმნიშვნელო იყო.

საჭიროა აღინიშნოს ერთი ფაქტი. სპარტაკელები (ლიბკნეხტი, ლიუქსემბურგი და სხვები) ბოლშევიკების თეორიის და პრაქტიკას იზიარებდენ და ამ თვალთახედვის ისრით ერთნაირი გაფთრებით ებრძოდენ, როგორც მეუმრავლესეებს, ისე დამოუკიდებლებსაც.

დამოუკიდებელნი და მათი წინამძღოლნი (კ. კაუცკი, ჰაზე, ჰილფერდინგი, დიტმანი და სხვები), რასაკვირველია, არ იზიარებდენ ბოლშევიზმის არც თეორიას და არც პრაქტიკას და ნამდვილ რევოლიუციონური მარქსიზმის გზას ადგნენ. მიუხედავათ ამისა, მათ ჩაიდინეს ერთი უდიდესი შეცდომა, რომლის შედეგს ეხლა ვხედავთ ჩვენ.

ზემოთ აღვნიშნე, რომ დამოუკიდებელნი ოპოზიციაში ედგნენ მეუმრავლესეთა მთავრობას და მათ ზოგ მართლა დიდ შეცდომებს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა. ეს მათ მუშაობას დიდი დადებითი ხასიათი იყო. სპარტაკელები კი არ ეყვნენ კმაყოფილნი არა თუ მეუმრავლესეებით, არამედ არც დამოუკიდებელთა პოლიტიკით და მოუწოდებდნენ გერმანიის ხალხს „საბჭოთა" სისტემის მიღებისაკენ, ტერორის და სამოქალაქო ომის აუცილებლობის აღიარებისაკენ და დემოკრატიის პრინციპების უარისყოფისაკენ.

რას შვრებოდნენ ამ დროს დამოუკიდებელნი? ისინი ებრძოდნენ შეიდემანებს, ყოველგვარ წონასწორობას მოკლებულ ნოსკეს, მაგრამ არ უწევდნენ საჭირო ანგარიშს სპარტაკელების მათზე იერიშებს. ლედებური, რომელიც ეხლა ბოლშევიკ-სპარტაკელების უსასტიკესი მოწინააღმდეგეა, მაშინ ბერლინის ქუჩებში ლიბკნეხტთან ერთად ბარიკადებზე ებრძოდა შეიდემანის მთავრობას გადმოსაგდებად და ამნაირათ ლიბკნეხტის ლოზუნგების პოპულიარიზაციას ხელს უწყობდა.

მართალია, ნოსკეს პოლიტიკურმა სიბეცემ ყოველგვარ სიბეცეს გადააჭარბა, მაგრამ მაინც საჭირო იყო, რომ მთელი პოლიტიკური პარტია უკიდურესობაში არ ჩავარდნილიყო და ებრძოლა არა მხოლოდ ნოსკეს წინააღმდეგ, არამედ ხმა ამოეღო სპარტაკელების წინააღმდეგაც.

დამოუკიდებელთა ასეთი პოზიცია კი ფართო მასას სხვანაირათ ესმოდა. ის ფიქრობდა, რომ დამოუკიდებელნი გაჩერებულნი არიან, სპარტაკელებს არ ებრძვიან, ერთნაირად მათ თანაგრძნობას უცხადებენო. თვით სპარტაკელების ორგანოს „როტეფაანე"-საც ასე ესმოდა ეს და მოითხოვდა დამოუკიდებლებიდან, რომ მათ ხმა ამოეღოთ და „როტეფაანეს" აზრები დაეცვათ.

დამოუკიდებელთა ერთი საუკეთესო თეორეტიკოსთაგანი, ჰილფერდინგი ლიუცერნის კონფერენციაზე 1919 წელს აგვისტოში იმ აზრისა იყო, რომ ინტერნაციონალიდან მეუმრავლესენი უნდა განდევნილიყვნენ, რომ მაშ დამოუკიდებლებს საშუალება მისცემოდათ იქ დარჩენილიყვნენ.

მერმედ დამოუკიდებლებმა მიატოვეს ინტერნაციონალი და დაიწყეს ლაპარაკი იმ პირობებზე, რომლებშიაც მათ შეეძლოთ მუშაობა ბოლშევიკურ ინტერნაციონალთან. ამ ფაქტმა შექმნა ისეთი შთაბეჭდილება გერმანიის მუშებში, რომ ეს არის დამოუკიდებელთა პარტია უერთდება ბოლშევიკებს. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გაიზარდა, როცა დამოუკიდებლებმა მოსკოვში ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლათ გაგზავნეს თავისი დელეგატები.

დამოუკიდებლების ყველა ასეთმა მოქმედებამ ბოლშევიზმს სახელი გაუზარდა თვით დამოუკიდებელთა პარტიაში. ამ ფაქტმა კი დააფრთხო პარტიის ფართო წრეები და მისი საუკეთესო ხელმძღვანელნი. ეხლა ეს უკანასკნელნი მკაცრად და გარკვეულად გამოვიდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ და გააფრთხილეს პარტია რომ ის არ გაყოლოდა ავანტიურის გზას. და მართლაც, პარტია ერთნაირად შეჩერდა და უკან მოიხედა გერმანიის მუშათა კლასისათვის სახიფათო გზის ასაცდენათ.

ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ მათი მოლოდინი აღარ მართლდება და მთელი დამოუკიდებელთა პარტია მათ არ უერთდება. წინააღმდეგ მათი მოლოდინისა, დამოუკიდებელთა შორის დღითი დღე იზრდებოდა მტრული განწყობილება ბოლშევიზმისადმი. საჭირო იყო ბოლშევიკებისათვის, რომ ასეთი მტრული განწყობილება მათ მიმართ შეჩერებულიყო. რა შეაჩერებდა ამას? მხოლოდ ერთი რამე: დამოუკიდებელთა პარტიაში განხეთქილება უნდა მომხდარიყო. მხოლოდ ამ აზრით იყო გამომუშავებულნი ბოლშევიკების მიერ ის პირობები, რომელიც უნდა მიეღო დამოუკიდებელთა პარტიას, თუ მას უნდოდა ბოლშევიკურ ინტერნაციონალთან შეერთება. ბოლშევიკებმა განგებ გამოიმუშავეს ისეთი პირობები, რომელნიც მიუღებელი იქნებოდა დამოუკიდებელთა მთელი პარტიისათვის, რომ ამით ამ პარტიაში განხეთქილება გამოეწვიათ და ერთი ნაწილი პარტიისა მაინც თავისაკენ მიემხროთ. ამნაირათ დამოუკიდებელთა პარტია გაიყო ორ ნაწილათ და ერთი ნაწილი ბოლშევიკებს შეუერთდა.

გერმანიის პროფესიონალური კავშირები, რომელშიაც შეკავშირებული არის გერმანიის პროლეტარიატის დიდი ნაწილი, წინააღმდეგი არის ბოლშევიზმისა. მისივე წინააღმდეგი არიან მეუმრავლესეთა პარტია და ნახევარი დამოუკიდებელთა პარტიისა.

ბოლშევიკებთან არიან მხოლოდ მცირედი ჯგუფი სპარტაკელებისა და ნახევარი დამოუკიდებელ პარტიისა. რამდენათ დამოუკიდებელ პარტიის ეს ნაწილი განაგრძობს თან გაჰყვეს მის გზააბნეულ წინამძღოლთ — დოიმიგს და შტოიკერს, რომელნიც დღემდის პარტიაში სულ უცნობნი იყვნენ,—ამას მომავალი დაგვანახვებს.

ქ. ჭავრჯხლაძე.

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გამო.

ერევანი. „ჰორაჩი" იუწყება: ოსმალეთის მთავარი ძალები შეჯგუფებულია უმთავრესად ყარსის ფრონტზე, სახელდობრ: ყაგიზმანის შარა-გზიდან დაწ-

დღეს

მთავრობის მოლაპარაკება მემაღაროეთა ბელადებთან ინგლისში უშედეგოთ დასრულდა. შეთანხმება არ მოხდა. გაფიცვა გრძელდება. მრავალი ათასი სამრეწველო გაჩერებულია. რკინის გზელებმაც გადასწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება.

ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვის გამო ქვანახშირის დამუშავებამ 270000 ფ. დაიკლო. მსხვილი ფაბრიკები სათბობი მასალის უქონლობის გამო არ მუშაობენ.

გერმანიაში სამთო-სამადნო მრეწველობის სოციალიზაციის საკითხი მეტად გართულდა. მთავრობა სოციალიზაციის წინააღმდეგია, მუშები სოციალიზაციას თხოულობენ.

გენ. გურომ ოსმალ-ნაციონალისტების წინააღმდეგ ახალი შეტევა დაიწყო.

ყებული სოფ. იასიგჩი-კარაკაია ხაზზეკის ხაზამდე. ეს სოფლები გერან ვარდნიდან 15 ვერსის მანძილზე იმყოფება. ოსმალეთის ფრონტი გაჭიმულია 40 ვერსზე. ამ ფრონტზე მოქმედებს ოსმალეთის 2 დივიზია 6.000 კაცამდე. მათ აქვთ ტყვიის მფრქვეველები და არტილერია. უკანასკნელ დრომდე ბრძოლები ხდებოდა ზიარეტის სიმაღლეებზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ოსმალეთისათვის, ისე სომხეთისათვის. ყაგიზმანის ფრონტზე მოქმედებს უმთავრესად შემთხვევითი ძალები, რომელიც ქურთებისა და თათრებისაგან შესდგება. ეს რაზმები შიშის ზარს სცემენ მცხოვრებთ და ალექსანდროპოლ-ერევნის რკ. გზის ხაზს ემუქრებიან. აქ სომხეთის ჯარი მათ დიდ წინააღმდეგობას უწევს. „ჰარაჩის" ცნობით ამ ჟამად ფრონტზე სიწყნარეა: მტერი შემოტევაზე აღარ გადმოდის. მიღებულ ცნობებით თურქები დახმარებას ელიან ტრაპეზუნდიდან. საერთო მდგომარეობა სერიოზულია. თურქებს სურთ აიღონ ყარსი და ამით გააძლიერონ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 ოქტომბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

შეერთება.

მოსკოვი. ოქტ. 27. გერმანიის კომუნისტთა პარტია მემარცხენე დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიას უერთდება.

ქვა-ნახშირის დამუშავება ინგლისში.

ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვის გამო ქვა-ნახშირის დამუშავებამ 270 მილიონ ფუთით დაიკლო. მსხვილი ფაბრიკები სათბობი მასალის უქონლობის გამო არ მუშაობენ.

ახალი პროექტი.

დასავლეთ ფრონტის სამხედრო ოლქის პოლიტკომი იმუშავებს წითელ არმიელთათვის სასოფლო სამეურნეო კურსების პროექტს.

პოლონეთთან დადებულ ზავის გარშემო.

მოსკოვი. ოქტ. 27. ჟურნალი „ეკონომიჩესკაია ჟიზნი" მეთაურში სწერს: რიგაში დადებული პრელიმინარული ზავის რატიფიკაცია უკვე მოხდა. პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა ზავი, ვინაიდან პოლონეთის სამშვიდობო დელეგაციაში შედიოდა ყველა პარტიის წარმომადგენლები ისევე, როგორც სეიმში. იმედი უნდა გვქონდეს მტკიცე ზავისა. რასაკვირველია, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის დამოკიდებულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებულ პირობებშია. მთელი ქვეყნის სიძულვილი საბჭოთა რუსეთისადმი არ გვაძლევს გარანტიას, რომ რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში დარჩეს: ყოველი ხელშეკრულება იმდენათ არის ქაღალდის ნახევი, რამდენადაც (გამოტოვებულია) ხელშეკრულების შინაარსი ორივე მხრის დამაინტერესებელია. მისი სიმტკიცე საეჭვოა იმიტომ, რომ პოლონეთის ბურჟუაზია იარაღს აჟღრუნებს საფრანგეთის ბურჟუაზიის ტაშზე. საფრანგეთი არ ისვენებს, მისი მიზანია მოსული კაპიტალით დაახშოს რუსეთის რესპუბლიკა. პოლონეთი, რომელიც პეტლიურას ეხმარება სამხედრო საქმეში, ახლა აცხადებს, რომ ზავის პირობები არ ეხება პეტლიურას და ჩვენ მასთან არავითარი კავშირი არა გვაქვსო. გენერალი ვრანგელი, დამარცხებას ხაზაში იმყოფება და მის დასახსნელად იქნება დასავლეთის ახალი ავანტიურა.

საქონლის უქონლობა აიძულებს პოლონეთს, რომ მან უცხოეთში გაიტანოს კარტოფილი ნახშირზე გადასაცვლელად. პოლონეთში ლითონის წარმოება შეჩერებულია. საფეიქრო წარმოებაში ნედლი მასალა: ბამბა, მატყლი და კანაფი მცირეა. ტყავეულობის ქარხნები სუსტად მუშაობენ ტყავის უქონლობის გამო, პოლონეთის მრეწველობის აღსადგენათ საჭიროა ნედლი მასალა, ამიტომაც პოლონეთის საზოგადოების ფართო წრეები რუსეთთან ზავს ეძებენ. მათი აზრით ეს ზავი ხელს შეუწყობს პოლონეთის მრეწველობის აყვავებას. ჩვენთან შეკრულ ზავის დადებითი მხარეები პოლონეთს უარს ათქმევინებს ახალ ავანტიურაზე და ზავის პირობებს განამტკიცებიებს.

მემაღაროების გაფიცვა.

„ბუდოკის" მეთაურ წერილში სწერია: ინგლისში მემაღაროელთა გაფიცვამ ინგლისის მრეწველობა მეტად შემოადუნა. მხოლოდ 4 დღეში.. (გამოტოვებულია) დაწყება დიდ რევოლიუციონურ აქტებისა. შეერთებული შეტევით ინგლისის მუშები დაამარცხებენ კაპიტალიზმს.

მთავრობის მოლაპარაკება მაღაროეთა ბელადებთან უშედეგოდ დასრულდა. შეთანხმება არ მომხდარა, გაფიცვა გრძელდება. უკანასკნელი ცნობებით გაიფიცა $1\frac{1}{2}$ მილიონი მუშა. მრავალი ათასი სამრეწველო გაჩერებულია. რკინის გზელებმა, მიუხედავათ მათი მეთაურების ჩხრეკვისა გაფიცვების გამოცხადება გადასწყვიტეს. გაიფიცება $3\frac{1}{2}$ მილიონ მუშა ასეთი გრანდიოზული გაფიცვა უმაგალითოა მუშათა მოძრაობის ისტორიაში. არა ლეგალური საბჭოები მოუწოდებენ მუშათა კავშირებს დაარსონ განსაკუთრებული კომიტეტები საკითხის სასწრაფოდ გადასაწყვეტად. მიღებულია ზომები მთავრობის გადასასვლელად ლონდონიდან პროვინციის სხვა რომელიმე ქალაქში. ტრანსპორტის მუშების წარმომადგენელმა ვილიამსმა განაცხადა: თუ შეთანხმება შეუძლებელი შეიქნა, მაშინ მთავრობის წინააღმდეგ რევოლიუციონური გამოსვლა მოხდება. მსხვილ სამრეწველო რაიონებში დაბნევის ნიშნებია. ინგლისის მთა—მადნის მუშები ჯამაგირის მომატების გარდა წარმოებაზე მუშათა კანტროლის დაწესებას მოითხოვენ. საფრანგეთის და გერმანიის მემაღაროები ინგლისის მემაღაროებს თანაგრძნობას უცხადებენ.

სამთო—მადნის სოციალიზაციის საკითხი.

გერმანიაში სამთო-მადნო მრეწველობის სოციალიზაციის საკითხი მეტად გართულდა. ამ ნიადაგზე მუშებსა და ბურჟუაზიას შორის უთანხმოება არსებობს. მთავრობა სოციალიზაციის წინააღმდეგია, მუშები სოციალიზაციას თხოულობენ. დამოუკიდებლებს რეიხსტაგში კანონ-პროექტი შეაქვთ სამთო-მადნო კერძო სამრეწველოების სახელმწიფოზე გადაცემის შესახებ.

ახალი შეტევა.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: გენ. გურომ ოსმალ-ნაციონალისტების წინააღმდეგ ახალი შეტევა დაიწყო. განთავისუფლდა მათგან დარონი და მდ. სეიხუმას შესართავი.

ლიონის ცნობები

თავდასხმა.

ჰამბურგში თავს დაესხნენ საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელს.

ზარალის ანაზღაურების გარშემო.

ზარალის ანაზღაურების კომისია იუწყებოდა, რომ მის განკარგულებაში იმყოფებოდა 20 და 40 მილიარდების ვალდებულები, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას ედება. ეს ვალდებულებები ზარალის ანაზღაურების კომისიის ფინანსიურ განყოფილებას გადაეცა. იგი წარმოადგენს გერმანიის ხაზინის ვალდებულებებს, რომელსაც გერმანიის ვალის ადმინისტრაციის მიერ არის ხელმოწერილი—სწერს „ტანი". (დამახინჯებულია).

ახალი მთავრობის ცნობა.

საფრანგეთმა იცნო „დე ფაქტო" ბოლივიის მთავრობა.

ვილნოს გარშემო.

ერთა ლიგის საბჭოს ჯერ კიდევ არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება ვილნოს საკითხის შესახებ.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

პეტროგრადის ეკონომიური მდგომარეობა.

ჰელსინგფორსი. ფინურ გაზეთების ცნობით პეტროგრადის კომუნის თავმჯდომარეთ ზინოვიევის მაგივრად აურჩევიათ ლიტველი კუკლინი. სხდომაზე კუკლინმა გააკეთა მოხსენება ქალაქის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებაო. საქონლის და სანოვაგის შემოტანა პეტროგრადში სრულებით შეწყვეტილია. ულუფა ძალიან შემცირებულია.

წითელ არმიელი ქალები.

კოპენჰაგენი. ადგილობრივ პრესის ცნობით მოსკოვში საბჭოთა ორგანოებს წითელ არმიელი ქალები სცავენ.

ახალ ჯარს ქმნიან.

ჰელსინგფორსის გაზეთის ცნობით წითელ არმიის რეორგანიზაცია უკვე დაიწყო. საბჭოთა რუსეთი გაყოფილია 93 სამხედრო ოლქათ. ყველა მამაკაცისათვის 15 წლიდან 50 წლამდი სამხედრო ვარჯიშობა სავალდებულოა. განზრახულია მოკლე ხანში შექმნან 4.700.000-იანი ჯარი.

პროპაგანდისტის დანიშვნა.

კომუნისტი ფრილსი სკანდინავიის სახელმწიფოებში ბოლშევიკურ პროპაგანდის ხელმძღვანელად დაინიშნა.

ბოლშევიკური აგიტაცია.

კოპენჰაგენი. დაიჭირეს ბოლშევიკურ გაზეთის რედაქტორ მატსენი, რომელსაც ბრალათ ედება საბჭოთა მთავრობის ხარჯით ბოლშევიკური იდეების სასარგებლოთ პროპაგანდის გაწევა. დაკითხვის დროს მატსენმა აღიარა, რომ ის მართლა ღებულობდა მოსკოვიდან ყოველ თვიურათ ოქროს ფულით 100.000 მანეთს.

სიკვდილიანობა რუსეთში.

რუსეთში ყოველ ათას კაცზე კვდება 74.9 კაცი. 1917 კი მხოლოდ 25.4 კაცი კვდებოდა. დაბადებათა რიცხვი 1919 წელში მოდიოდა 13 ყოველ ათას კაცზე, 1917 წელში კი დაბადებულთა რიცხვი 39,4 უდრიდა. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში სიკვდილი 6 ჯერ მეტია დაბადებაზე.

ახალი ამბები

◆ **დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.**

◆ **შრომის ბირჟის წესდება.** შრომის სამინისტრო იმუშავებს ადგილობრივი შრომის ბირჟას, ცენტრალურ ბირჟის და მის ფილიალურ განყოფილებების ნორმალურ წესდებას.

◆ **კანტროლი მრეწველობაზე** ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა აუწყა ქალაქის შრომის ბირჟას, რომ კანტროლი მრეწველობაზე იმ მიზნით, რომ იქ არ ღებულობდნენ მოსამსახურეებს გარეშე შრომის ბირჟისა, შეიძლება დაწესდეს პროფესიონალურ კავშირებისა და საფაბრიკო კომიტეტის საშუალებით.

◆ **ქალაქის საქმეები.** ქალაქის თვითმართველობის სამხედრო განყოფილება აცხადებს: გამოქვეყნებულ სიაში აღნიშნული პირნი უნდა გამოცხადდენ ნოემბრის 15-მდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამართალში იქნებიან მიცემულნი.

◆ **საჰაერო ფოსტა.** ფრანგულ ქართულმა საავჭრო პალატამ მიმართა თხოვნით ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოს, რომ შეატყობინონ მას პასუხი პალატის მიერ აღძრულ შუამდგომლობაზე ჰაერით საქართველოდან სტამბოლში და სტამბოლიდან საქართველოში ფოსტის გადატან-გადმოტანის შესახებ.

◆ **სპილენძის დამუშავება.** კვარცხანის სპილენძის ქარხნის დირექტორმა აღძრა შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე 12 მილ. მანეთის სესხის მიცემის შესახებ. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემდეგ ქარხანა შეუდგება სპილენძის ჩამოსხმას.

◆ **იუსტიციის მინისტრი.** ოქტომბრის 28 სამსახურის საქმეთა გამო სადგურ გრაკალს გაემგზავრა იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

◆ **მომარაგების საქმე.** მუშათა მაგიდის კონტროლიორმა, რომელიც გაგზავნილი იყო იმის გამოსაკვლევათ, თუ რამდენათ წესიერათ ურიგდებათ მოსამსახურეებს პური, გამოარკვია, რომ მეექვსე ჯგუფში ჯგუფს წარმომადგენელი ითვისებდა ფუთზე ¼ გირვანქა პურს. აგრეთვე გამოარკვია, რომ არამიანცის საავადმყოფოს მუშებისა და მოსამსახურეების სიაში აღმოჩნდა ფიქტიური პირები. ამ საავადმყოფოს წარმომადგენელი იღებდა 33 მოსამსახურის პურს, რომელნიც კარგა ხანია რაც სამსახურში არ ირიცხებიან. ამავე საავადმყოფოს წარმომადგენელი მუშებსა და მოსამსახურეებს არ აძლევდა 540 ულუფას.

◆ **კომბოსტოს შეძენა.** მუშათა მაგიდამ შეიძინა დიდძალი ახალი კომბოსტო, რომელსაც ამ დღეებში ჩამოიტანენ თფილისში. კომბოსტო დაურიგდებათ დაწესებულებებს. მუშათა მაგიდა შეუდგა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ღომის შესყიდვასაც.

◆ **სტუდენტთა კრება.** დღეს, საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება ყველა ფაკულტეტების სოციალ-დემოკრატ. და თანამგრძნობ სტუდენტთა კრება. სხვა ფრიად საყურადღებო საკითხებთან ერთად დასამტკიცებელია პარტიული მეცადინეობის გეგმა. ამ კრებაზევე მოხდება ჩაწერა სხვადასხვა სამეცადინო წრეებში.

◆ **სასოფლო სამეურნეო იარაღები.** მიწად მოქმედების სამინისტრომ დაინტერესებულ ორგანიზაციებს შემდეგი აუწყა: მიწად-მოქმედების სამინისტრომ გახსნა სამეურნეო იარაღებისა და მასალების საწყობი, საიდანაც შეიძლება შეძენა და დაკვეთა სასოფლო სამეურნეობაში საჭირო იარაღების. ნაწილი ამ მასალების და იარაღის უკვე მოსულია და ბევრსაც კიდევ მოველოდებით. ამ ჟამად საწყობში იყიდება გუთნები, შაბიამანი, პარიზის [illegible], საქიჯავები, გადასაღები მანქანები ვერმორელი, პულვერიზატორები, ტორპილები და მათი ყოველგვარი ნაწილები, გოგირდის საბერველები, დანები, სეკატორები, ხერხები, ფოცხები, ნიჩბები, რაფია, ვენახის გუთნები, კულტივატორები, მეფუტკრეობაში საჭირო იარაღები და სხვა. გარდა ამისა სამინისტროს საწყობი კისრულობს გამოიწეროს ყოველივე ის, რაც საჭირო იქნება სხვადასხვა მეურნეობის დარგში. დრო ამ მასალების შესაძენათ უკვე დადგა. გაცნობებთ ყოველივე ამას და გთხოვთ დროზე დაიკვეთოთ და შეიძინოთ, რაც თქვენთვის საჭიროა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფასები ყოველაფერზე დღითი-დღე მატულობს. ამიტომ რაც ადრე იქნება შეძენილი იარაღები და მასალები, მით უფრო მოგებული დარჩებით. პასუხს და სიას დაუყოვნებლივ მოველით.

◆ **პროფესიონალურ მოძრაობის მუშაკთა მოსამზადებელი კურსები.** ახლო მომავალში საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი ხსნის პროფესიონალურ მოძრაობის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებს. ტფილისის ჟურნალისტთა პროფ. კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, ვისაც სურს შევიდეს ხსენებულ კურსებზე, აცნობოს ამის შესახებ ხსენებულ კავშირის გამგეობის კანცელარიას 30 ოქტომბრამდე.

◆ **განათლების სამინისტროს** განზრახვა აქვს სახელმწიფო თეატრთან გახსნას ქართულ ენის კურსები, რომელსაც მიზნათ ექნება ქართული ენა შეასწავლოს საოპერო მსახიობებს და ამით შესაძლებელი გახდება ოპერის ნაციონალიზაციის ცხოვრებაში გატარება.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბში.** შაბათს, 30 ოქტომბერს ამავე კლუბთან არსებულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ".

◆ **კულტურული მუშაობა გვარდიაში.** სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონის კულტურულ განმანათლებელი სექციის მიერ ამას წინათ დაწყებული თეატრის გადაკეთება ამ დღეებში დამთავრდება. სექციამ დაადგინა თავის სხდომაზე: თეატრს ეწოდოს „სახალხო გვარდიის სახლი კარლ კაუცკის სახელობაზე". სექციის ინიციატივით იმართება საგანგებო ბატალიონში ლექციები და მოხსენებები.

◆ **ერობათა კავშირის კომიტეტს** გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს ცალკე წიგნად, ქართულად: მასალები სამაზრო და სათემო ერობათა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, სტატისტიკური შრომები მბ. გრიგორიანის და კონისა.

◆ **გენერალ გუბერნატორის თანამდებობის მოსპობა.** შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს მთავრობის წარსადგენათ მოხსენებას ტფილისის საგენერალ გუბერნატოროს გაუქმების შესახებ. ამ საკითხის წარმოშობა დასაბუთებულია მით, რომ ცხოვრება ტფილისში ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

◆ **კონფლიქტი გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრაციას შორის.** შრომის სამინისტრომ განიხილა

კარლ კაუცკის სიტყვა

(წარმოთქმული სახალხო გვარდიის მეორე ყრილობაზე 24 ოქტომბერს)

საყვარელო ამხანაგებო! წრფელად გმადლობთ იმ პატივისცემისთვის, რომელიც წილად მარგუნეთ იმით, რომ ამირჩიეთ საპატიო თავმჯდომარეთ. თქვენ ხედავთ ჩემს გულზე ამ ნიშანს: მე გავხდი გვარდიის წევრი. ამით მე ვამაყობ. მაგრამ წლოვანობით მე უნდა ვიყო ძველი, გამოცდილი გვარდიელი. მე კი ეხლა ვარ თქვენი ყველაზე უფრო უმცროსი რეკრუტი. (ტაში).

ამხანაგებო! მე სასიქადულოთ მიმაჩნია ვიყო წევრი თქვენი ორგანიზაციისა. ეს იმიტომ, რომ მე ვიცი, თქვენი ორგანიზაცია, სახალხო გვარდია არის ერთი იმ ქვაკუთხედთაგანი, რომელსაც ეყრდნობა მთელი საქართველოს დემოკრატია. მე ვიცი, რომ თქვენ დაგიმტკიცებიათ თქვენი თავდადება იდეალებისადმი და დემოკრატიისადმი თქვენი სიცოცხლისა და სისხლის ფასით. მაგრამ, მიუხედავად თქვენი დამსახურებისა და მიუხედავათ იმისა, რომ თქვენ შეიარაღებულ ძალას წარმოადგენთ, თქვენ არ ინ ზეთ გამორჩევა სხვა მოქალაქეთაგან, არ მოითხოვეთ და არ მიითვისეთ პრივილეგიები. თქვენ ხართ თანასწორნი სხვა მოქალაქეებთან. ეს განსაკუთრებული თვისება დამახასიათებელია თქვენი ორგანიზაციისათვის. (ტაში).

ამხანაგებო! დღევანდელი თქვენი ყრილობა განსაკუთრებულ პირობებში იკრიბება. თქვენ იცით, თუ რა მძიმე და რთულია დღეს საზოგადოდ საერთაშორისო მდგომარეობა. განსაკუთრებით მძიმე და საშიშროებით სავსეა ის თქვენთვის, საქართველოსთვის. მე ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. მე ვიტყვი მხოლოდ: რომ საქართველოს დემოკრატიის პატარა ნავმა შესძლოს დიდი საშიშროების ტალღებში თავი გაიტანოს,—ამისთვის საჭიროა მესაჭე მაგარი ხელით და მტკიცე გულით მართავდეს ნავს. ასეთი ხელმძღვანელი, ასეთი მესაჭე თქვენ გყავთ თქვენი მთავრობის სახით, რომელსაც თქვენ ყველანი ენდობით. მაგრამ მარტო მთავრობა ვერაფერს გახდება, თუ იგი დარწმუნებული არ იქნება, რომ თქვენც მასთან ხართ. რომ მთავრობის მუშაობამ მიზანს მიაღწიოს, ამისთვის საჭიროა, იცოდეს მთავრობამაც და მტერმაც, რომ საქართველოს ჰყავს ასეთი შეიარაღებული ძალა, რომელიც დამარცხებულს და შერცხვენილს უკუ აგდებს თავისი საზღვრიდან მტერს, თუ ის გაბედავს და რესპუბლიკას შემოესევა. (ტაში).

ამხანაგებო! თქვენ არა მხოლოდ იმისთვის იკრიბებით დღეს, რომ საერთაშორისო მდგომარეობა განიხილოთ, არამედ აგრეთვე იმისათვისაც, რათა განსაჯოთ, გამოარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება სამხედრო ორგანიზაციის გამოყენება სამშვიდობო და შემოქმედებითი მიზნებისათვის. მე ვიცი, რომ თქვენ სამხედრო საქმის გარეშე ცდილობთ გააკეთოთ მშვიდობიანი საქმე, მოიხმაროთ თქვენი ორგანიზაციული ძალა წარმოებისათვის, სახელდობრ სასოფლო მეურნეობაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე და [illegible] და ის დიდ ინტერესს გამოიწვევს მთელი ქვეყნის სოციალისტთა შორის. შეიძლება, ბევრმა იფიქროს, რომ ეს პარადოქსია: როგორ შეიძლება წარმოიდგინოთ, ერთი შეხედვით, რომ სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც სიცოცხლის და სიმდიდრის განადგურებას ეწევა, რომელიც გამსჭვალულია განადგურების მისწრაფებით,—როგორ შეიძლება, რომ ეს სამხედრო ორგანიზაცია ემსახუროს შრომის და წარმოების მიზნებს. მაგრამ ეს პარადოქსია მხოლოდ პირველ შეხედვით. ნამდვილათ კი თქვენი ორგანიზაცია, სახალხო გვარდია, არ წარმოადგენს ჯარს, ამ სიტყვის ჩვეულებრივის მნიშვნელობით. თქვენ მართლაც გაქვთ სამხედრო მიზნები, როგორც ყოველივე ჯარს; მაგრამ თქვენი სამხედრო მიზნები ეთანაბრება და ანალოგიურია იმ მიზნებისა, რომელსაც ემსახურება სოციალიზმი. თქვენ მიზნათ დაგისახავთ არა სხვაზე თავდასხმა, სხვისი ცხოვრების განადგურება, არამედ თავის დაცვა; თქვენი მიზანია თქვენი თანამემამულეთა სიცოცხლის დაცვა. ამასთანავე თქვენ მიზნათ ისახავთ წარმოების დაცვას, რასაც ემსახურება აგრეთვე სოციალიზმიც.

კიდევ სხვაგვარათაც შეიძლება კავშირი გაებათ სოციალიზმსა და არმიას შორის.

მარქსი ერთ-ერთ თავის წიგნში—„პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკის შესავალში" ამბობს, რომ ჯარი იყო პირველი ფორმა მსხვილი წარმოებისა. ისე, როგორც მსხვილ საწარმოო დაწესებულებას საჭიროა დიდი ორგანიზაცია იმისათვის, რომ მისმა მოქმედებამ ნაყოფიერი შედეგები გამოიღოს, ასევე ჯარიც თავის სამხედრო მიზნების მისაღწევათ, თავისი დანიშნულების შესასრულებლათ საჭიროებს რთულსა და კარგად მოწყობილ ორგანიზაციას. თქვენ იცით, რომ ყველა დიდი სარდლები; როგორც იყვნენ მაგ. ცეზარი, კრომველი და ნაპოლეონი იყვნენ ამასთანვე ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორები, იცოდნენ არა მარტო თავისი ჯარის კარგათ მოწყობა არამედ სახელმწიფოს მოწყობაც.

კაპიტალიზმისთვისაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რთული და კარგი ორგანიზაცია; კაპიტალს ესაჭიროება ნიჭიერი და გამოცდილი ორგანიზატორები, რომლებსაც იგი ითხოვს წარმოებისათვის.

და სწორედ ისე, როგორც მსხვილი კაპიტალისტური წარმოება,—აგრეთვე სოციალიზმიც საჭიროებს რთულსა და კარგად მოწყობილ ორგანიზაციას. მას განახორციელებენ არა თეორეტიკოსები, არამედ პრაქტიკის ხალხი.

თეორეტიკოსს შეუძლია გზა გიჩვენოთ სოციალიზმისაკენ, მას შეუძლია დაგისურათოს ის პირობები, რომელშიაც სწარმოებს თქვენი ბრძოლა, რომელთაც მიჰყვებართ თქვენ გამარჯვებისაკენ. სოციალიზმის ცხოვრებაში გატარება კი შეუძლია არა თეორეტიკოსებს, არამედ ორგანიზაციულ და გაწრთვნილ პრაქტიკულ მოღვაწეებს. სოციალიზმის დამყარება რომ შესაძლებელი გახდეს, ამისათვის საჭიროა, რომ პროლეტარიატს ჰქონდეს დიდი ორგანიზატორული გამოცდილება და უნარი ამ გამოცდილებას პროლეტარიატი იძენს მასიურ ორგანიზაციებში, როგორიც არის სოციალისტური პარტია, პროფესიონალურ კავშირები და აგრეთვე კოოპერატივები; ეს არის ფორმები პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციისა, რომლებშიაც ვითარდება პროლეტარიატის ორგანიზატორული ნიჭი და შემოქმედება. თქვენ კი ახლა ქმნით კიდევ ერთ ახალ ფორმას ორგანიზაციისა,—პროლეტარულ სამხედრო ორგანიზაციას, რომელშიაც აგრეთვე იწვრთნება პროლეტარიატის ორგანიზაციული ნიჭი და იზრდება მტკიცე პროლეტარული შემოქმედება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ახალი იდეა, იქნება აგრეთვე ნაყოფიერი და დიდ ინტერესს აღძრავს სოციალისტურ წრეებში (ტაში).

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ არსებობს სოციალიზმსა და არმიას შორის კავშირი,—მათ შორის ამასთანავე არსებობს საგრძნობი წინააღმდეგობაც, რაც აფერხებს ჯარის გამოყენების საქმეს სოციალიზმისათვის. უწინარეს ყოვლისა ეს წინააღმდეგობა თავს იჩენს დისციპლინის საკითხში. არც ერთ დიდ ორგანიზაციას არ შეუძლია იარსებოს უდისციპლინოთ. მაგრამ ტრადიციული სამხედრო დისციპლინა დიდათ განირჩევა სოციალისტურ დისციპლინისაგან. ძველ არმიების დისციპლინა ემყარებოდა იძულება დაშინებაზე. ფრიდრიხ მე-2 პრუსიელი ამბობდა, რომ ჯარის კაცს უფრო უნდა ეშინოდეს თავისი აფიცრის, ვიდრე მტრისაო. ასეთ დისციპლინაზე არც ერთი სოციალისტური საზოგადოება არ შეიძლება იქნეს აშენებული. სოციალისტური საზოგადოება მიისწრაფის დაეყრდნოს შრომის უმაღლეს ფორმას; ეს კი ჰგულისხმობს ნებაყოფლობითსა და ხალისიან შრომას.

იძულებითი შრომა ყოველთვის ცუდ შედეგებს იძლევა. იძულებით მომუშავე აკეთებს საქმეს ხალისის მოკლებული, ცდილობს იმუშაოს, რაც შეიძლება, ნაკლები, აფუჭებს საწარმოო იარაღებს და მასალას. იძულებითი შრომით,—შრომით ჯოხს ქვეშ შეიძლება გაკეთებული იქნეს მხოლოთ პრიმიტიული სამუშაო.

ის ცნობილი სოციალისტები, რომლებიც ცდილობდენ პრაქტიკულად განეხორციელებინათ სოციალიზმი,—მუდამ ფიქრობდენ იმაზე, თუ როგორ მიეცათ შრომისათვის მიმზიდველი ხასიათი; განსაკუთრებით რობერტ ოუენმა და ფურიემ ბევრი სწერეს ამ საკითხზე. მაგრამ ამის მიღწევა არც ისე ადვილი საქმეა; დიდი ხანი უნდა, სანამ შრომა თავისთავად მიმზიდველი გახდება. სოციალიზმის განხორციელება ამას ვერ მოუცდის. ამიტომ ჩვენ ჯერ უნდა დავკმაყოფილდეთ სხვა პირობებით, რაც პროლეტარიატს შრომას შეაყვარებს.

ეს პირობები არის: თავის მოვალეობის შეგნება, შემდეგ ღრმად განვითარებული პატიოსნების გრძნობა და საერთო გონებრივი განვითარება. ეს პირობები არის აუცილებელი და თუ ეს შეძენილი აქვს პროლეტარიატს, მაშინ შესწევს მას ძალა ნებაყოფლობითი და ნაყოფიერი შრომისათვის, რომ ეს მოვალეობის შეგნება და მე მრწამს, და პატიოსნების გრძნობა საკმაოდ არის განვითარებული თქვენი ორგანიზაციის წევრთა შორის. ეს მოგცემს თქვენ საშუალებას ემსახუროთ არა მარტო სამხედრო მიზნებს, არამედ მეორე მიზანს, რომელიც თქვენ დაგისახავთ—ნაყოფიერ წარმოებით შრომას.

რა გზით, როგორ უნდა განხორციელდეს ეს შრომა,—აქ მე ვერაფერს გეტყვით, ვინაიდან აქ იწყება ის ასპარეზი, სადაც თეორეტიკოსი უკან იხევს და წინ გამოდის პრაქტიკული მოღვაწე. აქ მე თქვენ ვერ გასწავლით,—აქ მე უნდა ვისწავლო თქვენგან.

თქვენს ცდას, თქვენს მუშაობას განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ორის მხრივ.

ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ომი დასრულდა, მაგრამ მშვიდობიანობა მაინც ვერ მიენიჭა ქვეყანას: შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საომარი მდგომარეობა ისევე არსებობს; მთელი მსოფლიო იმყოფება ფარულ საომარ მდგომარეობაში. თქვენ იცით, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დიდ გავლენიან ქვეყნებში მართვა გამგეობა სოციალისტების ხელში იქნება, ან, ყოველ შემთხვევაში, სოციალისტურ პარტიებს, პროლეტარიატს ექნებათ საკმაო გავლენა თავიანთ მთავრობების პოლიტიკაზე, რომ აიძულონ ისინი ანგარიში გაუწიონ პროლეტარიატის მოთხოვნილებებს. ამასთანავე შესაძლებელი იქნება ნამდვილი მშვიდობიანობის დამყარება მაშინ, როდესაც ხალხთა ლიგა გახდება რეალურ ძალად და მიღწეული იქნება ინტერნაციონალის იდეალები. ხოლო სანამ ეს არ არის მიღწეული—სოციალისტური სახელმწიფოებიც საჭიროებენ შეიარაღებულ ძალას, ჯარს თავის დასაცავათ. მაგრამ სოციალისტური სახელმწიფო მით განსხვავდება სხვა სახელმწიფოთაგან, რომ ის ცდილობს, რაც შეიძლება, ნაკლებად დაამძიმოს ჯარით ხალხი, რაც შეიძლება მეტი ეკონომია და ნაკლები სამხედრო ხარჯები გასწიოს. თქვენ შექმენით შეიარაღებული ძალა,—სახალხო გვარდია, ხოლო გვარდიაში საწარმოო შრომის პრინციპის შემოღებით და გვარდიის გამოყენებით საწარმოო მიზნებისათვის თქვენ ცდილობთ ეს ეკონომია გაატაროთ პრაქტიკაში.

თქვენის მაგალითის გაზიარებით თქვენ დაამტკიცებთ, რომ სოციალისტურ ქვეყანას გაცილებით ნაკლებათ დაუჯდება ჯარის შენახვა, ვიდრე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, ვინაიდან სოციალისტურ ქვეყანას შეუძლია ჯარის არა მარტო მილიტარულ მიზნებისთვის, არამედ აგრეთვე მშვიდობიან საწარმოო მიზნებისთვის გამოყენება. თუ თქვენ შესძლებთ ამის მიღწევას,—ეს დიდი მაგალითი იქნება სოციალისტურ ქვეყნებისთვის, რომელნიც იძულებულნი იქნებიან ჯარი იყოლიონ, ვიდრე სოციალიზმი საყოველთაოდ არ დამყარდება. (ტაში).

მაგრამ თქვენი მუშაობას ინტერნაციონალისათვის კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს. და ეს სპეციალურად აგრარული საკითხის სფეროში. თქვენ იცით, რომ ომის შემდეგ დაიწყო ხანა სოციალიზაციისა. საერთაშორისო კატასტროფის შემდეგ არსად, არც ერთ ქვეყანაში პროლეტარიატი ძველ პირობებში აღარ დარჩება და მოითხოვს, რომ ყოველი სახელმწიფო შედგეს საწარმოო ძალთა განსაზოგადოებრივობის გზაზე. თქვენ იცით, რომ წარმოების ამა თუ იმ დარგის სოციალიზაცია ევროპის სახელმწიფოებში პრაქტიკულ საკითხადაა გამხდარი. მაგრამ სოციალიზაცია ერთი შაბლონით ვერ გატარდება ყველა ქვეყნებში და წარმოების ყველა დარგებში. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული პროგრამა ამ მიზნის განსახორციელებლათ.

პირიქით, ყოველი ქვეყნის წარმოების სხვადასხვა დარგში უნდა იქნეს შესწავლილი პირობები და ამის მიხედვით გატარდეს სოციალიზაცია. განსაკუთრებით ძნელია სოციალისტური შემოქმედება, სოციალიზმის გატარება სასოფლო მეურნეობაში. გლეხის სოციალურათ განთავისუფლება დღევანდელ ბარბაროსულ პირობებიდან არ შეიძლება მოხდეს წვრილ მეურნეობის საშუალებით, რომელიც ტიპიური მოვლენაა გლეხობაში. მსხვილი წარმოება კი სასოფლო მეურნეობაში დიდ დაბრკოლებებს ხვდება თავის განვითარების გზაზე. ამიტომ საჭიროა შემოვიღოთ მსხვილი სასოფლო წარმოების ისეთი ფორმები, რომლებიც მიმზიდველი იქნება გლეხისათვის.

ეს მეტად რთული საკითხია. დასავლეთ ევროპის სოციალისტები ძალიან ბევრს შრომას და დროს ანდომებენ ამას. აქამდე წარმოებულმა ცდამ თითქმის უნაყოფოდ ჩაიარა, არსებობს ორგვარი ფორმა საზოგადოებრივ წარმოებისა სოფლად: კომუნალური და კოოპერატიული. და აი თქვენ გინდათ მოიპოვოთ ახალი ფორმა საზოგადოებრივ მსხვილი წარმოებისა სასოფლო მეურნეობაში. თუ სახალხო გვარდიის ცდა მიზანს მიაღწია, ეს იქნება უდიდესი მაგალითი სოციალისტურ ინტერნაციონალისათვის.

თუ საზოგადოებრივი მსხვილი წარმოება სასოფლო მეურნეობაში, რომლის მოწყობასაც აქ ფიქრობს ნახევრად სამხედრო პროლეტარული ორგანიზაცია, შრომის უმაღლეს ნაყოფიერების [illegible]რებელი აღმოჩნდა, მაშინ გლეხობა დაინახავს განსაზოგადოებრივებულ მსხვილ წარმოების უპირატესობას სასოფლო მეურნეობაში და ისარგებლებს თქვენი მაგალითით.

ამნაირად თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თქვენს მუშაობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო თქვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ მთელი ინტერნაციონალისათვის. ამ აზრით უნდა გამსჭვალოთ თქვენ.

და მე მგონია, რომ ნება მაქვს არა მარტო ჩემი სახელით, არამედ მთელი ინტერნაციონალის სახელით მოგესალმოთ და გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და სრული გამარჯვება თქვენი მიზნების მიღწევაში. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები. მუსიკა ასრულებს „ინტერნაციონალს").

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრაციის შორის მომხდარი კონფლიქტი, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: 1) შტატის შემოკლების გამო მოსამსახურეები დაითხოვა ქალაქის საბჭომ, ამიტომ მუშებმა სალიკვიდაციო ფული მასვე უნდა მოსთხოვონ, 2) საბჭომ უნდა მისცეს მუშებს ჯილდო თავისი თანხიდან, თუ ეს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, თუ არ არის გათვალისწინებული, მაშინ ჯილდოს იხდის მესაკუთრე. შრომის სამინისტრო სთხოვს საბჭოს გაუსწორდეს მუშებს. თვით კონფლიქტი განსახილველად გადაეცა მთავრობას, რომელმაც თავის მხრივ იგი დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროს გადასცა.

ქრონიკა.

პარასკევს 29 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე პოლიტეხნიკური სასწავლებლის დარბაზში (დიდი მთავრის ქ., № 70) დანიშნულია თფილისის სკოლების ჯარში გასაწვევ მოწაფეთა წარმომადგენლების განმეორებითი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონის ქალთა ორგანიზაციის საზოგადო კრება. წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

— დღეს 29 ოქტომბერს, საღ. 7 ს., შესდგება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის პარტიის წევრთა საერთო კრება. პარტიის წევრთა დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღამოს 6 საათზე მესამე რაიონული კოლექტივი ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში, კუხეთის მოედანი № 1, იწვევს რაიონის წევრთა საზოგადო კრებას, სადაც ამხ. კოწია გვარჯალაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მუშათა მოძრაობა ევროპაში".

— კვირას, 31 ოქტომბერს, დილის 10 საათზე (მუშათა სასახლეში, პლეხანოვის პროსპექტი № 123, მოწვეულია თფილისის საერთო საქალაქო სადაზღვევო კავშირის რწმუნებულთა საერთო კრება. განსახილველია: 1) ფულის ანგარიში ამა წლის 1 ოქტომბრამდე, 2) გამგეობის მოქმედების ანგარიში. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) საქართველოს სადაზღვევო კასების კონფერენციის მოწვევა. საორგანიზაციო კომისიის მოხსენება, 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები, 6) იმ ქარხნების განცხადება, რომელთაც შეუთანხმდნენ კასას ოჯახის წევრთა წამლობაზე. 7) შინაურ კომიტეტის წევრთა ინსტრუქცია—(ავტონომიურ კომისიის), 8) მიმდინარე საკითხები. დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის მცხოვრებთა აღწერა

ოქტომბერს 27 მოხდა ცენტრალურ სტატისტიკური საბჭოს სხდომა პ. გელეიშვილის თავმჯდომარეობით 1921 წლ. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა მცხოვრებლების აღწერის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ აღწერას არა მარტო დემოგრაფიული მიზანი ექნება, არამედ იგი შეეხება სოციალური ცხოვრების ყოველ მხარეს. აღწერის დროს გამოირკვევა ბინის პირობები, სახლების აღმშენებლობა, ვაჭრობა-მრეწველობა, მუშათა და მოსამსახურეთა შრომის პირობები, პროლეტარიზაციის პროცესის გამოსარკვევად. უნდა გამოირკვეს აგრეთვე კვალიფიციურ მუშათა რაოდენობა, მათი ორგანიზაცია და პარტიული მიმართულება. სტატისტიკურმა საბჭომ აღწერის ბარათის ფორმა უკვე შეიმუშავა, ბარათები იბეჭდება პირადი ბინების და ეზოების, განზრახულია აღწერა ა. წ. დეკემბრიდანვე დაიწყონ. ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა ამ შემოდგომის მოსავლისა და საერთო სასოფლო მეურნეობის გამოსარკვევად მაზრებში უკვე დაგზავნა სპეციალისტი სტატისტიკოსები. (სდს).

ტყვარჩელის ქვანახშირი

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში შევიდა დასავლეთ კავკასიის სპარსეთის სამრეწველო საზოგადოების თხოვნა იმის შესახებ, რომ მას ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ექსპლოატაციის უფლებამ მისცენ. ეს საზოგადოება წინადადებას იძლევა ნება დართონ მას ტყვარჩელის ქვა-ნახშირის ექსპლოატაციისა საქართველოს მთავრობისათვის მისაღებ პირობებში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ტყვარჩელის მაღალი ღირსების ქვანახშირის დამუშავება მეტად განამტკიცებს საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას. ტყვარჩელის ქვა-ნახშირი თავისი ღირსებით ბევრით უკეთესია ტყიბულისა და ოლთისის ქვანახშირზე და დონის უმაღლეს და საშუალო ნახშირს უდრისო. ტყვარჩელის ქვანახშირი გემებისათვის წარმოადგენს საუკეთესო სათბობ მასალას, შესაძლებელია მისი დაუზიანებლად გადაზიდვა შორს მანძილზე, ისე, რომ არ დაიფშვნება. ტყვარჩელის რაიონის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მისი ნახშირის რაოდენობა 12 მილიარდ ფუთს უდრის. რომ შეიქმნეს ისეთი წარმოება, რომელიც წლიურად 200 მილიონ ფუთ ნახშირს დაამუშავებს, მაშინ ტყვარჩელის ნახშირის მადანი არ გამოილევა 65 წლამდის. (სდს).

უცხოეთი

კომუნისტური აგიტაცია.

გაზ. „წითელ არმიელი" იუწყება, რომ მოსკოვიდან პოლონეთის ფრონტზე ყოველთვე იგზავნებოდა 115,000 ცალი საგიტაციო ბროშიურა, პროკლამაცია და სხ. პოლონეურ ენაზე, 30,000 ცალი პოლონური კომუნისტური გაზეთი და 46,000 პლაკატი კარიკატურები. ბოლშევიკურ იდეების გასავრცელებლათ უკრაინაში გამოუშვეს 36 გვერდიანი ბროშიურა „საბჭოთა პოლიტიკა უკრაინაში". უკრაინაში საგიტაციო ლიტერატურის გამოცემა უქაღალდობის გამო ბრკოლდება... გაზ. „ვოლია"-ს სიტყვით, აგვისტოში ჟიტომირის „იზვესტია" კარტონზე იბეჭდებოდა. მაგრამ მაინც გამოდის უკრაინული და 1 პოლონური გაზეთი. კიევში უკრაინის საწინააღმდეგო საგიტაციო კურსებია გახსნილი.

ავსტრია.

მომავალი მმართველობის ფორმა.

გაზეთი „ნოი ფრეიე პრესსე" სწერს, რომ უნგრეთის პოლიტიკურ წრეებში კიდევ არ არის შედგენილი მმართველობის მომავალი ფორმის ერთგვარი შეხედულება. ზოგს სურს რესპუბლიკა, ზოგიერთებს კი სურთ აღადგინონ მონარქია. არსებობს სამი მოწინააღმდეგე ჯგუფი, რომელნიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს. ერთი აერთიანებს ლეგიტიმისტებს, რომელიც მოითხოვს კარლო გაბსბურგის ტახტზე დაბრუნებას და ომის დაწყებამდე არსებულ რეჟიმის აღდგენას. მხოლოდ, ვინაიდან კარლის დაბრუნებას შეიძლება წინააღმდეგობა შეხვდეს ანტანტის მხრივ, ლეგიტიმისტები წინადადებას იძლევიან კარლი შესცვალონ მისი შვილით ოტტოთი, ხოლო ვინაიდან ჯერ მცირე წლოვანია—დაინიშნოს რეგენტი.

მეორე მონარქიული ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს [illegible] შესდგება უნგრეთის დამოუკიდებლობის პარტიის ძველი წევრებისაგან. გაბსბურგის გვარეულობის უნგრეთის ტახტზე დაბრუნებას ისინი განსაზღვრავენ ეგრეთ წოდებულ „პრაგმატიულ სანქციის" უარყოფით და არ განაცხადებენ თავის უფლებებს სხვა ტახტებზე, გარდა უნგრეთისა. მონარხისტების მესამე ჯგუფი, ყველაზე მცირე რიცხოვანი, მხარს უჭერს უნგრეთის ტახტზე, რომელიმე საზღვარ გარეთულ პრინცის არჩევას.

სია

იმ პირთა, რომელთა სახელზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებაში მიღებულია წერილები:

1) ოდეტა კანი, 2) ალ—დრ არაბიძე, 3) გიორგი გედევანიშვილი. 4) გიორგი ჯინორია, 5) ს. გვარჯალაძე, 6) საიდ შამილ ბეი, 7) ვარლამ ჩერქეზიშვილი, 8) სოლ. მაჭავარიანი, 9) იოსებ ბ. ჯიაშვილი, 10) ბორდმენი, 11) ალექსი ხვიტია, 12) ელენა თევაძე, 13) გიორგი ჯაბადარი, 14) პროფ. მელიქოვი, 15) ხერბერტი, 16) მიხ. თუმანოვი, 17) რენდი ბრუნი, 18) ჯაბადარი, 19) თამარა ნიჟარაძე, 20) ბიქტორი ნაკაშიძე, 21) ტერეზია არსენიევისა, 22) ელენე კარგარეთელი, 23) მ. ს. ჯაფარიძე, 24) ზოია შჩერბაჩევისა, 25) ტერეზია ადამოვისა, 26) მეხტი მეხტიევი, 27) მ. ი. შმულევიჩი, 28) ვ. პენეფენნიკოვი, 29) დავით ღედეშვილი, 30) აზიკი შარიფოვი, 31) ნაგელი, 32) გრიგორი ბერიძე.

სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა

27 ოქტომბერი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ელიავა.

ისმინება კამათი მოხსენების გარშემო. მომარაგების, სამეურნეო და მომწყობი განყოფილების მოღვაწეობის შესახებ ლაპარაკობს მთელი რიგი ორატორებისა, რომელნიც უმთავრესათ ეხებიან ცალ-ცალკე დეფექტებს და მომავლის გეგმას. მომხსენებლების უკანასკნელის სიტყვების შემდეგ,—გადაწყდა, რომ მოღვაწეობის შესახებ რეზოლიუცია გამოტანილ იქნება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მოქმედების რეზოლიუციასთან ერთად. რეზოლიუციის შესამუშავებლათ აირჩევს კომისია 5 კაცისაგან შემდგარი.

სამანდატო კომისიის სახელით, მოხსენებას აკეთებს ხიმ. გოცაძე. სულ სამანდატო კომისიაში წარმოდგენილი ყოფილა 152 მანდატი, რომელთა მიხედვით ყრილობაზე იმყოფება 159 დელეგატი. აქედან ყველა მანდატები კომისიამ დაამტკიცა გარდა რამოდენიმე მანდატისა, რომლებიც დაწერის დროსაც არ ყოფილა დაცული ფორმალური სისწორე.

ყრილობამ მცირე კამათის შემდეგ ყველა მანდატები დაამტკიცა.

(საღამოს სხდომა).

თავმჯდომარეობს ჯერ ამხ. ვ. ჭუმბურიძე, შემდეგ—გაბუნია.

შტატების სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს **დ. ხადიაშვილი.**

მომხსენებელი ვრცლად აცნობს კრებას მთავარ შტაბის და სექციის აზრს გვარდიის საოლქო და სარაიონო შტაბებისა და შტაბების რწმუნებულების შესახებ და შეაქვს ზოგიერთი შესწორებები უკვე არსებულ შტატებში. საოლქო შტაბების რიცხვი გადიდებულია 12-დან 15-მდე დაარსებულია აგრეთვე ზოგიერთი ახალი სარაიონო შტაბები. უკანასკნელების დამტკიცების დროს სექცია, სხვათა შორის, დიდ ანგარიშს უწევდა ადგილობრივ პირობებს; საქმე იმაშია, რომ მომავალ წლიდან გვარდია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს თავის სამეურნეო მუშაობას; ამიტომ ზოგიერთი შტაბი საჭიროა უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო შტატით, რათა მას შეეძლოს ჰქონდეს დაამუშაოს მის რაიონში არსებული სახნავ სათესი ადგილები და აწარმოოს კულტურული მეურნეობა. შტატების დამტკიცების დროს დიდი ანგარიში ეწევა აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობას.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია სექციაში საკითხმა სარევიზიო კომისიების დაარსების შესახებ. არსებობდა ორი მიმდინარეობა: ერთი მოითხოვდა, რათა არ ყოფილიყო დაარსებული სარევიზიო კომისიები და თავის აზრს იმით ასაბუთებდა, რომ გვარდია, როგორც სახელმწიფოებრივი სამხედრო ორგანიზაცია, უნდა ემორჩილებოდეს საერთო სახელმწიფო კონტროლსო. მეორე უფრო დიდი მიმდინარეობა კი მოითხოვდა ასეთ კომისიების დაარსებას იმ მოსაზრებით, რომ გვარდიის, ისე, როგორც პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების, მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება, თუ იგი გაშუქებული და დამტკიცებული იქნება სარევიზიო კომისიების კრიტიკული დასკვნით. ამ შემთხვევაში ალაგი არ ექნება იმ შესაძლებლობას, რომ მთავარ შტაბისა და სხვა მოხსენებები აშენებული იქნეს ცალმხრივათ გაშუქებულ მასალებზე. ამიტომ სექციამ და მთავარ შტაბმაც მივიდნენ იმ დასკვნამდი, რათა მთავარ სარაიონო და საოლქო შტაბებთან არსებობდნენ განსაკუთრებული სარევიზიო კომისიები.

მცირე აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ უმნიშვნელო შესწორებებით ყრილობა ამტკიცებს მომხსენებლის მიერ წარდგენილ მოსაზრებებს.

შინა-მრეწველობა და სახელმწიფო მონოპოლია*)

II

ლ. ესვანჯიას წერილი უფრო სერიოზული ხასიათისაა. მკითხველი გრძნობს, რომ ავტორს შესწავლილი აქვს ეს დარგი ჩვენი სასოფლო მეურნეობისა. [illegible] დავაკვირდებით ამ წერილს, დავინახავთ აქაც მწარმოებლების სულისკვეთებას, მის ცალმხრივობას და მუქი საღებავების ხმარებას. ერთში ვეთანხმებით ამხ. ესვანჯიას—აფხაზეთის წვრილი მეთამბაქოეები არ არიან დალხინებულ მდგომარეობაში, რომ თამბაქოს მეურნ. დიდი შრომა სჭირია და სხ. მაგრამ ხომ თვით ლ. ესვანჯიას წერილშიაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ თამბაქოს ფასს აწესებს არა სუბიექტიური სურვილი, არამედ ის მოთხოვნილება, რომელიც არის დღეს შინაურ თუ გარეშე ბაზარზე. ავტორი თვით აღიარებს, რომ ჩვენი თამბაქოს ბაზარი იყო რუსეთი თავისი 140 მილიონიანი მოსახლეობით და რომ ევროპაში ჩვენი თამბაქო გავიდა ბოლო დროს და ისიც მცირე რაოდენობით. მაშასადამე ამ სამეურნეო დარგის დაცემა გამოწვეულია არა რაიმე და ვისიმე სუბიექტიური მოქმედებით, თუ სურვილით, არამედ საერთო, მსოფლიო მნიშვნელობის პირობებით. ავტორი სჩივის, რომ მარტო 1918 წელს ჩვენ დაგვაკლდა 400 ათასი ფუთი თამბაქოვო. განა შეგვიძლია სიზმარშიაც კი ვიოცნებოთ იმაზე, რომ დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენი უმთავრესი ბაზარი—რუსეთი მოწყვეტილია ჩვენზე, აფხაზეთი დაამუშავებს 500 ათას ფუთ თამბაქოს? განა თვით ამხ. ესვანჯიამ არ იცის, რომ ამოდენა რაოდენობის დასამუშავებლათ, მუშა ხელი არ მოგვეძებნება? განა მან არ იცის რომ უმთავრესი მუშების კადრი აფხაზეთში შავი ზღვის გუბერნიიდან და ყუბანის ოლქიდან გადმოდიოდა, ეხლა კი ეს კადრი აღარა გვყავს? რატომ გაჩუმდა ყველა ამაზედ ამხ. ესვანჯია? ავტორი ბევრს მოგვითხრობს წარმოებულის გაჭირვებაზედ, რაშიაც ჩვენ ვერ შევედავებით, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს იმას, თუ რა ფასი აქვს ამ მწარმოებლის ნაწარმოებ თამბაქოს მსოფლიო ბაზარზე. ეს მას ანგარიშებში არ შედის, ეს მას არ უნდა დაინახოს. თუ რა მდგომარეობაშია დღეს თამბაქოს საქმე მსოფლიო ბაზარზე და რა არა ნორმალური დაბალი ფასებია თამბაქოზე, ამაზე თავს არ მოვაწყენ მკითხველს. ამაზედ ბევრი დაიწერა ჩვენს გაზეთში

ჩვენ გვწამს, რომ ეს არა ნორმალური მდგომარეობა წარმავალია, დროებითია, მაგრამ დღეს ეს ფაქტია და მაზედ თვალის დახუჭვა არ შეიძლება.

ლ. ესვანჯია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ცალმხრივობას იჩენს იმ ციფრებშიაც, რომელიც მას მოჰყავს 1919 და 1920 წლების მოსავლის შედარებაში. აქ მას სურს ხაზ გასმით მოგვითხროს 1920 წლის მოსავლის შემცირებაზე და ეს შემცირება ვისმეს დააბრალოს.

ის ამბობს:

გუმისტის სამაზრო კოოპერატივს დაგროვილი აქვს 80,000 ფუთი 1919 წლის მოსავალი, მხოლოდ კიდევ მოელოდება 20 ათასსო.

კოდორისას აქვს მოგროვილი 30 ათასი, მხოლოდ მოელოდება კიდევ 15 ათასსო და სხვ ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ფაქტიურად დაგროვილი და რეგისტრაციაში მოქცეული თამბაქო 1919 წლის მოსავლისა ყოფილა 140 ათასი ფუთი, მხოლოდ ამხ. ესვანჯია კიდევ მოელის დაახლოვებით 60 ათას ფუთს, რაც შეადგენს 42% მთელი შეგროვილი რაოდენობისას, და ამნაირი „მოლოდინით" აშენებს ის თავის სტატისტიკას. ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოლოდინი არ აღემატება 20—25 ათას ფუთს და მაშასადამე მთელი მოსავალი 1919 არ აღემატება 165 ათას ფუთს.

აი ამ გადიდებულ ციფრიდან გამოდის ავტორი, როდესაც ის ანგარიშობს, ვითომც 1919 წელს იყო დამუშავებული 3720 დესეტინა ადგილი, ნამდვილად კი იყო დამუშავებული დაახლოვებით 160,000: 5=3200 დესეტინა.

როდესაც ავტორი გადადის 1920 წლის მოსავალზე, აქ ის სიფრთხილეს და ძუნწობას იჩენს. ის ამბობს, რომ 1920 წელს დამუშავებულის მხოლოდ 1980 დესეტინა და რაიონობითაც მოჰყავს ამ ჯამის შემადგენელი ციფრები: გუმისტა 750, კოდორი 700, სამურზაყანო 150, ათონის 160, გუდაუთი 170 და გაგრაში 50 დესეტინა. ჩვენ კი ხელთ გვაქვს ცნობები, რომ ზემოდ ჩამოთვლილ რაიონებში დამუშავებულია დაახლოვებით 2400 დესეტინა, რაც მოგვცემს მოსავალს დაახლოვებით 125,000 ფუთ თამბაქოს.

ამ ციფრებს ფრთხილად ვიღებთ, რომ ჩვენც არ მოგვივიდეს ცალმხრივობა.

ჩვენი ცნობებით კოდორის მაზრაში დამუშავებულია არა ნაკლებ 850 დესეტინისა. ამხ. ესვანჯიამ, მოიყვანა რა ზემოხსენებული ციფრები, არავითარი შენიშვნა-განმარტება არ გაუკეთა მათ, ეს კი მას შეეძლო და უნდა ექნა კიდევაც. მაგრამ მან არ ქნა ეს, და ჩვენი მოვალეობაა აგიხსნათ ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ეს შედარებითი შემცირება თამბაქოს მოსავლისა.

ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ შემოწმებულ ცნობებს 1917 წლის დამუშავებული ადგილების რაოდენობის ცალკე მაზრებში:

გუმისტის რაიონი	39%	— 3252 დეს.
გუდაუთის და გაგრის რ.	28%	—2386 „
კოდორის	„ 25%	—2159 „
სამურზაყანოს	„ 8%	— 647 „

რას გვიჩვენებს 1920 წლის დამუშავებული ადგილების რაოდენობით დანაწილება? თუნდაც ამხ. ესვანჯიას შემცირებული ციფრები ვიხმაროთ და გამოვიღეთ 2000 დესეტინიდან მივიღებთ შემდეგს:

გუდაუთი-გაგრის რაიონი	11%	—220 დ.
გუმისტის რაიონის	„ 40%	—910 „
კოდორის	„ 35%	—700 „

და სხვ.

აქედან დავინახავთ, რომ საერთო მოსავლის შემცირების მიხედვით გუმისტის რაიონს იმნაირივე ადგილი უჭირავს პროცენტების ცხრილში, როგორც 1917 წელს.

კოდორის რაიონს შესამჩნევად უმატია, მხოლოდ გუდაუთის გაგრის რაიონს ერთი სამად და მეტად დაუკლია. ან და უბრალოდ რომ ვთქვათ მოსავალი შემცირებულა 1920 წელს 1917 შედარებით:

გაგრა-გუდაუთში	11-ჯერ
გუმისტაში	4 ჯერ
კოდორში	3 ჯერ

მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას იმაზედ, რომ ამხ. ესვანჯია აღნიშნავს 1920 წელს გაგრის რაიონში დამუშავებულ მიწის რაოდენობას 50 დესეტინას.

აქ მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ 1920 წელში თამბაქოს დამუშავებას ძალიან დაუკლია გუდაუთ-გაგრის რაიონში; უკანასკნელში თითქმის არ ყოფილა. (50 დეს.), მხოლოდ კოდორის რაიონში დამუშავებულ მიწის % უმატია საგრძნობლად. რა იყო ამის მიზეზი? იმ მიზეზებს გარდა, რომელთაც ავტორი აღწერს თავის წერილში, და რომლებზედაც წერილის ბოლოში გვექნება ლაპარაკი, იყო ფრიად მნიშვნელოვანი და საბედისწერო მიზეზები:

1) გუდაუთ-გაგრის რაიონში მეთამბაქოობას ეწევიან უმთავრესად ბერძნები და სომხები. ამ ხალხმა, როგორც უმთავრესად თამბაქოზე მომუშავეებმა წარმოშვა თავისივე პარაზიტები (მუქთახორები) ამ დარგში, შემყიდველ ჩარჩების სახით. ვინ არ იცის, რომ მთელი აფხაზეთის თამბაქოს ვაჭრობა ამ ჩარჩების ხელში იყო, რომ ისინი წლითიწლობით იმრავლებდენ თავის მილიონებს მშრომელი ხალხის ხარჯზედ. ცნობილია ისიც, რომ ნაციონალურ უმცირესობებში დიდი გასავალი აქვს ნაციონალისტურ შოვინიზმს, და რომ ამის გამო ხშირად წურბელა-ჩარჩებს, ნაციონალურ სამოსელში გამოხვეულთ დიდი გავლენა აქვთ ხოლმე იმ მასსაზე, რომელთაც ისინი მოხერხებულად ობობასავით სწოვენ. აფხაზეთის იმ ნაწილებშიაც, სადაც მასსიურათ მოსახლეობენ ბერძნები და ნაწილობრივ სომხები, ზემოდ აღნიშნულმა მოვლენამ ტიპიური გამოხატულობა მიიღო.

1919 წლის დამლევს გამოცხადდა თამბაქოს მონოპოლია. ამ კანონის ცხოვრებაში გატარებამ შეაშფოთა და ააფორიაქა თამბაქოს საწყობთა პატრონები (უმთავრესად ბერძნები). მათ იგრძნეს, რომ მათ ბატონობას და მწარმოებლის გატყავებას ბოლო ეღება და ამიტომ მიმართეს მრავალგვარ პროვოკაციას. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველმა [illegible] ბურჟუაზიამ დიდი დახმარება აღმოუჩინა თავის საერთაშორისო მოძმეს. მათ მორთეს ყვირილი პრესაში მეთამბაქოობის დაღუპვაზე, ავრცელებდნენ ხმებს, რომ მთავრობა გლეხებს თამბაქოს მუქთად ჩამოართმევს და სხვამრავალი. როდესაც მწარმოებელთა უმრავლესობა დარწმუნდა მათ პროვოკაციულ მოქმედებაში, და მეორე მხრით კი დაინახა, რომ მთავრობა თამბაქოს მონოპოლიას ქვეყნის და მწარმოებელთა სასარგებლოთ თვით მწარმოებელთა კოოპერატიულ ამხანაგობებზე ამყარებს, მაშინ ჩარჩ-სპეკულიანტებმა მიმართეს მეორე პროვოკაციას. მათ შექმნეს ბერძნების ხელოვნური ემიგრაცია (გადასახლება). ისინი ფიქრობდენ, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა უეჭოდ გაატანდათ გადასახლებულთ იმ თითო ოროლა შეკრულ თამბაქოს, რომელიც მათ შერჩენოდათ, მხოლოდ თვითონ ფიქრობდენ გადასახლებულთა სახელით გაეჭრინათ ათიანთ 10 და 100 ათასობით ფუთი თამბაქო. მათ მოატყუეს ხალხი ვითომც გამარჯვებული საბერძნეთი ეძახის ყველა ბერძნებს, და რომ საბერძნეთის მთავრობა ყველას ურიგებს მაკედონიაში ორ სართულიან სახლებს და დიდ ადგილებს, აქ კი საქართველოს მთავრობა მათ ავიწროვებს და სხვ... სამწუხაროდ ამ პროვოკაციამ ნაწილობრივ გაჭრა. ასობით ბერძნის ოჯახები აიყარა, მუქთად გაყიდა მთელი თავისი სარჩო საბადებელი და მიაშურა ქ. ბათომს, რათა იქიდან წასულიყვნენ იმ „სანატრელ ქვეყანაში, სადაც მდინარეებში რძე მოსდინარეობს"... და ვინ არ იცის ის ტრაღედია ამ უბედური „მოხალისე ლტოლვილებისა", რაც მათ განიცადეს და შემდეგ ნაწილობრივ ახლაც განიცდიან ბათომის მიდამოებში. ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარეს მოსდიოდა ამნაირი დეპეშები: სამშობლოში გადასახლების მსურველ ბერძენ გლეხობის სახელით გთხოვთ ნება მოგვცეთ ამდენი და ამდენი ათეული ათასი ფუთი თამბაქოს უბაჟოდ გატანისაო. ხელს აწერდენ ცნობილი თამბაქოს შემყიდველი ჩარჩები...

რომ ამ პროვოკაციას არ შეეძლებოდა ადგილობრივი შეგნებული ელემენტები, მთელი ბერძნობა აიყრებოდა და გახდებოდა მსხვერპლი ნაციონალისტური ობობებისა. ამ შებრძოლებაში, თუ დიდს არა, პატარა როლს მაინც თამაშობდა ამხ. ესვანჯია, და ამიტომ მისი მოვალეობა იყო ეს ერთი მიზეზთაგანი თამბაქოს მოსავლის შემცირებისა მკითხველისთვის გაეცნო.

2) მეორე არა ნაკლები მიზეზი იყო ის, რომ სწორედ იმ დროს როდესაც სწარმოებს თამბაქოს გადარგვა, გაგრა-პილენკოვოს რაიონში ჩვენ ჯარს ფრონტი ეკავა და ყოველ დღე მოსალოდნელი იყო საომარი მოქმედების დაწყება ჯერ დენიკინის ურდოებთან და მერე ბოლშევიკებთან, და დაბოლოს მაინც ადგილი ჰქონდა საომარ მოქმედებებს, როგორც დენიკინელებთან, ისე ბოლშევიკებთან. და აი ამის გამო არამც თუ ხალხი შეუდგა თამბაქოს თესვა-გადარგვას, არამედ გამორბოდა იმ ადგილებიდან და ვინც დარჩა, მათაც ვერ გაბედეს ისეთი რთული შრომის გაწევა, როგორიც არის თამბაქოს მუშაობა.

აი ის უმთავრესი მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს 1920 წელში თამბაქოს შედარებით ნაკლები მოსავალი.

ეს რომ არ ყოფილიყო, ჩვენ დარწმუნებული ვართ თამბაქოს მოსავალი იქნებოდა გაცილებით ბევრათ მეტი, ვიდრე 1919 წელში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ეს იცოდა ამხ. ესვანჯიამ და რატომ დააფარა ამას ხელი, არ ვიცით. შეიძლება ამხ. ესვანჯიამ ეს იმ ტაქტიკური მოსაზრებით მოიმოქმედა, რომ მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ამ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო დარგისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში ის ვერაფერ სამსახურს უწევს სახელმწიფოს, ვინაიდან მისი წერილი, შეიძლება მისდა უნებურად, მონოპოლიის საწინააღმდეგო ნიადაგს ქმნის. ამის ნიმუშზედ ქვემოდ მიუთითებთ მკითხველს.

ი. ჟ.

---

* გაგრძელება იხ. „ერთობა" № 239.

ერობათა საყურადღებოდ

მოგეხსენებათ, რომ განახლებულ სკოლის პრინციპები მაშინ ტარდება ცხოვრებაში მოზარდ თაობის საკეთილდღეოთ, თუ განახლებულ სკოლას ჰყავს შესაფერი მემკვიდრე, მისი მახლობელი, უშინაურესი, სიტყვით რომ ვსთქვათ, სულის ჩამდგმელი—მასწავლებელი. გამოცდილ მასწავლებელთა რიცხვი კი დღეს შექმნილ პირობებისა გამო საძებნელია ყველა საფეხურის სკოლებისთვის.

ამ ანორმალურ მოვლენას სათანადო ყურადღება მიექცა ჯერ წარსულ წელში მთავრობისაგან და სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა მასწავლებელთა მოსამზადებლათ ორ საფეხურიანი სპეციალურ-პედაგოგიური კურსები. პირველი საფეხურის ორ წლიანი კურსები იძლევა მომზადებულ მასწავლებელთ უმაღლეს დაწყებით სასწავლებელთათვის, ხოლო მეორე საფეხურის 4 წლიანი კი—საშუალო სასწავლებელთათვის.

პირველი საფეხურის კურსები უკვე მოწყობილია წარსულ წლიდგან სადაც 20-მდის მიღებულა დაარსებისთანავე მსმენელები. ხსენებულ საფეხურზედ მსმენელთა რიცხვი წელს კი 45—50-დის გაიზარდა.

საპედაგოგიო ინსტიტუტს სათავეში უდგას ცნობილი პედაგოგი ბ. დ. უზნაძე, რომლის ცდა მიმართულია თანამედროვე საზღაპრო სიძვირეში მსმენელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

პირველი ცდა ამ მხრივ გამოიხატება იმაში, რომ ინსტიტუტის გამგეობას მიუმართავს რესპუბლიკის ერობებისათვის და უთხოვნია თავიანთი სტიპენდიების დაარსება მსმენელთათვის მისაღებ პირობებში.

ზოგიერთი სამაზრო ერობაც გამოხმაურებია ხსენებულ მიმართვას და დაუარსებია უკვე სტიპენდიები, ხოლო ზოგს კი ჯერ პასუხიც არ მოუცია.

ვინაიდან მსმენელებისთვის მეტად მოუხერხებელია სამსახურში შესვლა და ამავე დროს ლექციების მოსმენაც, რადგან მეტად მნიშვნელოვანი ლექციები მსმენელთათვის იკითხება დილით სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო საღამოს ინსტიტუტში, ამიტომ მრავალი მსმენელი ნაცვლად ენერგიულ მეცადინეობისა, იძულებულია ლუკმა პურის ძებნაში ჩამოშორდეს მეცადინეობასაც. ამიტომ მივმართავ რესპუბლიკის სამაზრო ერობებს, სხვადასხვა დაწესებულებათ და ქველმოქმედთ სტიპენდიების დაარსებით თუ კერძო დახმარებით კეთილ ინებონ და ხელი შეუწყონ მსმენელთა მეცადინეობას ჩვენი ერის და მოზარდ თაობის საკეთილდღეოთ.

საპედაგოგიო ინსტიტუტის მსმენელთა კავშირის გამგეობის წევრი **ხტ. ნიკოლაიშვილი.**

ბათომი

იაფი სადილები. ოლქის საგანგებო კომისარმა ბრძანება გასცა, რომ ყველა რესტორანებსა, კაფეებსა, სასტუმროებსა და სასადილოებში 1½—4 ს. აძლევენ მცხოვრებთ იაფ კარგ. სადილებს, ხოლო საღ. 8—11 ს იაფ ვახშამს.

ხორბლის შეძენა. მომარაგების სამინისტროს რწმუნებულმა ბათომში შეიძინა 13 ათასი ფუთი ქერი, რომელიც გემ „აბროს"-ზე ჩამოიტანეს.

თფილისის და ბათომის მუშათა მაგიდებისთვის შეძენილია 4 ვაგონი თეთრი ფქვილი. სტამბოლიდან ამ დღეებში მოელიან 12,000 ფუთ თეთრ ფქვილს.

სწარმოებს მოლაპარაკება 30,000 ფ. ქერის შესაძენათ, რომელიც ამ დღეებში ბათომში ჩამოვა, შესყიდულია აგრეთვე 2 ვაგონი სიმინდი.

ქერის ფასმა ბოლო დღეებში საგრძნობლათ დაიწია.

ნობელის ფირმისაგან შეძენილია ჯარისთვის ფეხსამოსების დიდი პარტია.

წამლეულის ჩამოზიდვა. ბოლო დროს დიდძალი წამლეული შემოდის უცხოეთიდან, ქალაქის გამგეობას წინადადება მისცეს შეიძინოს ბათომში ჩამოტანილი 9 მილიონ მანეთის სხვადასხვა წამლეული.

ციებ-ცხელება. ქალაქის საავადმყოფოში ციებ-ცხელებისაგან ავადმყოფთა 10% იხოცება.

„ბავშვის აკვანი". „დედებისა და ბავშვების დაცვის" დღეს შეკრებილ ფულიდან ინ. უ. ჟორდანიამ 100,000 მან. გადასცა ბათომის საქველმოქმედო საზ—ების „ბავშვის აკვანის" სასარგებლოთ.

ქუთაისი

— **მუშათა მაგიდაში.** მუშათა მაგიდამ უკვე დაურიგა ერთი თვის სურსათ-სანოვაგე. თვითეულ სულზე დაურიგდა შაქარი—1 გირ., მარილი—2 გირ. ჩაი—½ გ., ასანთი—3 კ. მუშათა მაგიდამ დაიწყო შეშის მიღებაც, რაც ამ მოკლე ხანში დაურიგდება თვითეულ ოჯახზე არა ნაკლები ⅛ საჟენისა.

— **მუშა ქალთა ორგანიზაციაში.** ოთხშაბათს 20 ოქტომბერს შესდგა ქუთაისის მუშა ქალთა ორგანიზაციის გამგეობის-მორიგი სხდომა. კრებამ გაარჩია სხვადასხვა საკითხები და სხვა საკითხებთან ერთად აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა ქალაქის სხვადასხვა უბნებში საუბნო ორგანიზაციების აღდგენა და საერთოდ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის განახლება.

— **სახალხო უნივერსიტეტი.** ამ მოკლე ხანში განახლდება სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსებზე მეცადინეობა.

— **ფართლეულობის და შაბიამანის მიღება.** ქუთაისის რაიონის კოოპ. კავშირმა მიიღო ფართლეულობა და შაბიამანი, რომელიც დაურიგდებათ მოკავშირე კოოპერატივებს.

— **ფასები.** ქუთაისის ბაზარზე გასულ კვირაში სიმინდი ფასობდა 1400 მანეთიდან—1450 მანეთამდის, ყურძენი—1200 მან. 1300 მანეთამდის.

— **ამინდები.** ხშირი წვიმების გამო სოფლად ჭირნახულის შენახვა ძნელდება, რის გამოც ჭირნახულიც ფუჭდება.

— **ქუთაისის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბმა** გამორიცხა სრულიად გვარდიიდან როგორც შეუფერებელი და უვარგისი გვარდიის სამსახურისთვის შემდეგი პირები: სახელაშვილი ბენიამინ სოლომონისძე, [illegible] პარმენ იონას ძე, ჯალაღანია პლატონ ერისტოსძე, და ალასანია მიხეილ ასლანისძე.

— **ქუთაისის „შევარდენ"-ში** 20 ოქტომბერს შესდგა წლიური საზოგადო კრება. წაკითხული იყო მოხსენებები საბჭოს მდივნის და მოურავის, ვარჯიშთავის, მოლარის, მრიცხველის და მკურნალის. საბჭოში არჩეულ იქნენ თავმჯდომარედ კოწია სულაქველიძე, მის პირველ ამხანაგად თუმანიშვილი ნიკო, მეორე ამხანაგად ქუთნია ილია, წევრებად ჯავრიშვილი დათა, (როგორც ვარჯიშთავი), ჯორჯიკია სპირიდონი, მაჭავარიანი ილია, სვანიძე გიორგი, ასლანიშვილი სოსო, ჩხენკელი არკადი, ქავთარაძისა ანეტა, მეძმარიაშვილი მიხეილი, კუპარაძის ასული მარიამი, კაკაბაძე კაკო; მოადგილეებად: ხარაძის ასული ნინო, ხუნდაძის ასული მარიამი, შეიშვილი ვანო, გორგაძე მიხეილი, სარევიზიო კომისიაში: ვარდოსანიძის ასული მარიამი, ქორქაშვილი გიორგი, ქუთათელაძე ლადო. კრებამ საპატიო წევრებად აირჩია ჩეხეთში მყოფი ანტონ ლუკეში, რომელმაც 1905 წელში საქართველოში პირველად განავითარა შევარდნული იდეები და გიორგი ეგნატაშვილი,—საქართველოს რესპუბლიკაში „შევარდენი"-ს პირველი ვარჯიშთავი და განათლების სამინისტროში ტანვარჯიშობის მთავარი გამგე.

სამხედრო უწყების ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ყველასათვის აშკარაა, რომ დღევანდელ საზღაპრო სიძვირის გამო ყველანი აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით. მაგრამ სხვასთან შედარებით აღნიშნულ უწყების მუშა-მოსამსახურენი გაცილებით მეტ აუტანელ პირობებში არიან. ამ დარგის მუშა-მოსამსახურეები ღებულობენ თვიურ ჯამაგირს 3960-დან 5000 მანეთამდე.

წინათ და ეხლაც ჯამაგირების სიმცირე, სიშიმშილე და თანხნაირი გაჭირვება სხვასთან ერთად ამათაც გადაეხდათ თავზე. მოსამსახურეები ითმენდნენ ყოველივე გაჭირვებას.

ზოგიერთი იფიქრებს, თითქოს ხსენებული მუშა-მოსამსახურენი მეტათ განსხვავებულნი იყვნენ სხვა დარგის მუშა მოსამსახურეთაგან. მე მგონია, რომ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

ძველად, მართალია, ისინი ჩამორჩენილი იყვნენ და მოკლებულნი რევოლიუციონურ ბრძოლას; მაგრამ რევოლიუციის შემდეგ ხსენებულ უწყებაში შეიჭრნენ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი ელემენტები და მათ საშვალება მიეცათ განახლებულ უწყებაში შესულიყვნენ ახალი ცხოვრების გულშემატკივარნი. დღეს აღნიშნულ უწყებაში ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეების უმრავლესობას შეადგენს მშრომელი ხალხის შვილები, რომელნიც სრულიად არ განირჩევიან სხვა დარგის მუშა-მოსამსახურეებიდან.

ამიტომ სრულიად სამართლიანი იქნება

ბოდა, რომ ისინი პროფესიონალურ კავშირში შედიოდნენ.

შეიძლება ბევრს გაუკვირდეს: აღნიშნულ დარგის მუშა-მოსამსახურეებს რა აქვთ საერთო პროფესიონალურ კავშირთან, რომ ისინი გახდენ წევრები მუშათა კლასის ორგანიზაციისა.

მართალია, საერთოთ სახელმწიფო დაწესებულების უფროს მოხელეებს არაფერი აქვთ რა საერთო პროფესიონალურ კავშირებთან. მაგრამ რაც შეეხება იმ კადრის მუშა-მოსამსახურეებს, როგორიც არის მაგალითად: დარაჯი, მემანქანე, გადამწერი და დაბალი ბუხჰალტერიის შემადგენლობა, — ესენი აუცილებლათ უნდა შედიოდნენ პროფესიონალურ კავშირში, ვინაიდან ამათი ინტერესების დამცველი დღეს არავინ არის. დღეს აღნიშნული უწყების ნებით დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები მატერიალურათ განიცდიან დიდ კრიზისს. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეები გამოსთქვამენ უკმაყოფილებას, ვითომც ზემოხსენებული უწყების მუშა-მოსამსახურეები ღებულობდენ უფასო „ულუფას“.

მართალია მოხელეები და ოფიცრები ღებულობენ უფასო ულუფას და აგრეთვე სხვა საჭირო საგნებსაც; მაგრამ რაც შეეხება ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებს, — ესენი მოკლებული არიან ყოველივე ამას. იყო შემთხვევა, რომ ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებმა მოითხოვეს სახაზინო ფასებში ფართლეული და სათბობი მასალა, მაგრამ უარი უთხრეს. ეს გარემოება იწვევს მუშა-მოსამსახურეებში უკმაყოფილებას. ნუ თუ ეს გარემოება ანგარიშ გასაწევი არ არის?

დაბოლოს ღირსშესანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც მოხდა ხსენებულ უწყებაში. 1 ლ ოქტომბრამდე ნებით დაქირავებულ მუშა მოსამსახურეებს ეძლევათ სახაზინო ფასებში ჯარისკაცის „ულუფა“—პური და შაქარი. იმ დღიდან კი მოესპოთ ყოველივე „ულუფას“ მიღება. ამასთანავე ოფიცრებთ და მოხელეთ არ მოუსპეს უფასო „ულუფა“, ისევ ეძლევათ, როგორც ეძლეოდათ. საკითხავია, თუ სურსათ სანოვაგის თანასწორათ განაწილებისთვის გადადგეს ასეთი ნაბიჯი, — რატომ ქვემოდან დაიწყეს და ზემოდგ ველარ დაათავეს? ყოვლად დაუშვებელია ერთ დაწესებულებაში ნაწილი მოსამსახურეებისა მაძღარი იყოს სურსათ სანოვაგით და ამავე დროს დანარჩენი კი მშიერნი. სამართლიანი იქნებოდა ჯერ უფრო „ულუფას“ მიღება მოესპოთ და მერე ფასიანის; ვინაიდან თვითეული „ულუფა“, რომელსაც ღებულობს ოფიცრები და მოხელეები, ფასობს 600 მანეთს. თუ სახელმწიფოს სარგებლობისთვის მოესპოთ ნებით დაქირავებულ მუშა-მოსამსახურეებს ხსენებული „ულუფას“ მიღება, მით უმეტეს პირველათ უნდა მოესპოთ ოფიცრების მოხელეებისთვის და შემდეგ მუშა-მოსამსახურეებისთვის, ვინაიდან პირველი იღებს უფასოთ და მეორე - ფასით. ეს გარემოება ძალიან გაუგებრობას იწვევს მოსამსახურეების უმრავლესობაში. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

ჭრიზალოიძე.

ს.-დ. პარტიაში

სამტრედია. 21 ოქტომბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. სამტრედიის რაიონის რკინის გზის კოლექტივის სხდომა ამხ. ოქრ. წულაიას თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები იაჩეიკებიდან 2) გაზეთ „რკინის გზელში“ „ან შვილის“ ფსევდონიმით მოთავსებული წერილი, 3) სადგურ სამტრედიის საქმის მწარმოებელ ს. კარკალაიას თხოვნა, 4) მოწოდების გამოშვება საკოლექტივო ფარგლებში. 5) არა პარტიულ ორგანიზაციებიდან წარმომადგენლების დასწრება.

1. საკითხი პირველი. მოხსენებებიდან ყველაზე მეტი ყურადღება მიექცია წევის დარგის იაჩეიკამ. მოხსენებელი აღნიშნავს, ი. კიკიბიძე, რომელსაც სამტრედიის რაიონის რკ. გზის ყრილობამ უნდობლობა და ზიზღი გამოუცხადა, წარმატება მიიღო სამსახურში; იგი დანიშნულ იქნა თფილისში ახლად დაარსებულ მეორე პირველ-დაწყებითი სასწავლებლის გამგეთ. გამოდის რომ ვისაც უნდა მიიღოს წარმატება, მან უთუოდ უნდა ჩაიდინოს ბოროტება. აგრეთვე ი. კიკიბიძეს სამართალში მიუცია ქ. შენგელია და მ. ჯანელიძე, უკანასკნელნიც გვეკითხებიან, როგორ უნდა აგონ მათ პასუხი, როგორც პიროვნებებმა, თუ როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა? იაჩეიკამ დაადგინა: ა) ეთხოვოს კოლექტივს, რომ ი. კიკიბიძე არ იქნეს იმ თანამდებობაზე დაშვებული ბ) მათ უნდა აგონ პასუხი ორგანიზაციის სახელით, რადგანაც ისინი იყვნენ ჩვენ მიერ გაგზავნილი საქმის გამოსაძიებლად. კოლექტივმა მოიწონა რა ეს,—მადლობას უძღვნის იაჩეიკას მათი ასეთი სიფხიზლისთვის, და მათ გადაწყვეტილებას ადასტურებს.

2) ვინაიდან ხსენებულ გაზეთის № 37-ში საესებით დამახინჯებულია ფაქტები, და 30 სექტემბრის, რაიონულ ყრილობის ანგარიში—მიეწეროს რაიონულ გამგეობის ფრაქციას, რათა მან გამგეობის საშუალებით, გაგზავნოს იმავე გაზეთში საპასუხო წერილი, ამასთან ფრაქციას მოეთხოვოს, თუ ის კორესპონდენტი პარტიული ამხანაგია, გვაცნობოს ჩვენ და თუ არა მანვე რაიონულ გამგეობის საშუალებით გასცეს პასუხი.

3) არჩეული იქნა კომისია სამი კაცისაგან (ა. ასკურავა, ს. კოტრიკაძე, ს. გეგია), რომელსაც დაევალა გამოძიება, თუ რა დანაშაული მიუძღვის ხსენებულ კარკალაიას, რომ ის წინააღმდეგ მისი სურვილისა გადაყვანილია სამსახურში.

4) რადგანაც ამ დროისთვის სამტრედიაში ერთგვარ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი და საერთოდ პარტიული მუშაობა ვერ სწარმოებდა სასურველად,— იქნას გამოშვებული მოწოდება საკოლექტივო ფარგლებში, პარტიულ მუშაობის ასაყვავებლად და სასურველ გზაზე დასაყენებლათ. მოწოდების რედაქციის შემუშავება სარედაქციო კომისიასთან ერთად დაევალა ამხ. პავლე წულაიას.

5) მიეწეროს სამტრედიის ყველა რკ. გზის ფრაქციის დაწესებულებებს, რათა ისინი ესწრებოდნენ კოლექტივის კრებებს და უკეთებდენ მოხსენებას თავიანთ მუშაობის შესახებ. პ. ჯიბლაძე.

—

ქ. ონი. შაბათს, 9 ოქტომბერს, ს. დ. მ. პ. რაჭის მაზრის კომიტეტი სახსრის გაძლიერებლათ ქ. ონის ადგილობრივ თეატრის დარბაზში წარმოდგენილი იქნა „რევოლიუციის რიჟრაჟზე“ დრამა 4 მოქ. პიესა მეტათ კარგათ ჩატარდა, რამაც დამსწრე საზოგადოება ძლიერ დააკმაყოფილა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო და დარბაზში სრული წესიერება სუფევდა, რაც მეტათ იშვიათია ხსენებულ თეატრში. წმინდა შემოსავალი გადაეცა დანიშნულებისამებრ.

ი. კაციტაძე.

მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბი. 25 ოქტომბერს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის მორიგი სხდომა. მუშათა კლუბის მთელი წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშების შესახებ მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარე ი. ხუციშვილმა. მოხსენების მოსმენის შემდეგ გამგეობამ გადაწყვიტა 7 ნოემბერს მოწვეულ იქნეს კლუბის წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც წარედგინება განსახილველათ: მუშათა კლუბის მუშაობა ერთი წლის განმავლობაში, წევრთა რიცხვის რაოდენობა, მუშათა კლუბის ქონება, ფულეურ ფინანსიური მხარე ახალი გამგეობის არჩევა და სხ.

გამგეობის რეორგანიზაციის გამო არჩეულ იქნა სარეკომენდაციო კომისია, რომელიც შეარჩევს გამგეობაში ასარჩევ სასურველ კანდიდატთა სიას.

განხილულ იქნა განცხადება ამხ. ხუციშვილისა მუშათა კლუბის თეატრის რემონტის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: თანახმად ქალაქის გამგეობის სატეხნიკო კომისიის შეხედულებისა, მოხდეს თეატრის აუცილებელი რემონტი რომლითაც თავიდან აშორებული იქნება რაიმე ხიფათის შესაძლებლობა. შემდეგ მიღებულ იქნა:

მსახიობი ტერ-არაქელიანის მოქმედება, რაც გამოიხატა მასში, რომ მან წარმოდგენა ავლაბრის მუშათა კლუბის თეატრში აღარ წაიყვანა, ამით საზოგადოება მოტყუებული დასტოვა და ძან მუშათა კლუბის თეატრს ზარალი მისცა, ამის გამო გამგეობამ დაადგინა ტერ არაქელიანი საესებით გაძევებულ იქნას ავლაბრის მუშათა კლუბის თეატრიდან და ის ზარალი, რომელიც მან მიაყენა მუშათა კლუბს წარმოდგენის ჩაშლით აანაზღაუროს მან, არაქელიანმა წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა მიმართავს არაქელიანის შესახებ ოფიციალურ სასამართლოს.

მუშათა კლუბის გამგეობა აცხადებს, რომ ცატუროვს არავითარი დამოკიდებულება მუშათა კლუბის გამგეობასთან არა აქვს და არც ექნება, ხოლო მისი საქციელი, რომ აფიშაში ჩაეწერა თავისი-თავი გამგეობის წევრად ეს მისი ავანტიურისტობა იყო.

ბილეთების გამყიდველ ქალს ქ ნ ჩუთლაშვილს გამგეობა წინადადებას აძლევს არ მიყიდოს ბილეთები არც ერთ ისეთ ჯგუფს, რომელსაც შემდეგ გააქვს და ხელზე ჰყიდის მას.

გამგეობამ დაადგინა ყოველ თვიურათ მოხდეს მუშათა კლუბის ბუფეტს ანგარიშების გადათვალიერება, რომ ამით საქმის წარმოება უფრო გაადვილდეს. დარაჯ ქალს ხითაროვს 1 ლი ოქტომბრიდან მიემატოს თვეში 1000 მანეთი.

ვერხვი.

ქუთ. რკინის გზელთა შორის. ქუთაისის რაიონის რკინის გზელთა კავშირის გამგეობის და სექციათა შეერთებულმა კრებამ თავის 12 ოქტომბრის სხდომაზე საქართველოს მუშათა დელეგაციის საბჭოთა მთავრობის მიერ რუსეთში არ შეშვების შესახებ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„საქართველოს სახაზინო რკინის გზების ქუთაისის რაიონის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის და სექციების შეერთებულმა კრებამ თავის 12 ოქტომბრის სხდომაზე იმსჯელა რა რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს მუშათა დელეგაციის რუსეთში არ შეშვების შესახებ, და მიიღო რა მხედველობაში საქართველოს მუშათა კლასის ლტოლვა, რომ თავის თვალებით დაინახა მისი მოძმის რუსეთის მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, გასცნობოდა მათ მუშაობას და ურთიერთ შორის გაცნობით აღედგინა ძმური კავშირი, რის საშუალებაც საბჭოთა მთავრობამ მას მოუსპო, და არ მისცა შეძლება რუსეთის „სოციალიზმი“-ს ხილვისა, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს სიფრთხილეს ბოლშევიკურ მთავრობის მიერ თავის მუშაობის სინამდვილეზე გამოტანისას და საქართველოს მუშათა სოთან კეთილ მეზობლურ დამოკიდებულების უარის ყოფას, საესებით იზიარებს რა პროფ. კავშირების ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, კრება გამოსთქვამს პროტესტს დელეგაციის რუსეთში არ შეშვების გამო. საქართველოს მუშათა კლასს ყოველთვის სალი წარმოდგენა ჰქონდა კომისართა საბჭოს საქმიანობის შესახებ და არც მოტყუებულა ის. დღე, ატარონ კარჩაკეტილი კომისართა დიქტატურა მუშათა კლასზე და არ მისცენ მათ საშუალება მოძმისათვის ხელის გაწვდენისა, მაგრამ იცოდენ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც რუსეთის მუშათა კლასიც საბოლოოდ უკუაგდებს და პასუხს მოსთხოვს დღევანდელ რუსეთის ბატონ პატრონთ“.

(„ს. დ.“)

პროვინცია

ქ. ოზურგეთი. სოფელი ვნახე უძ ღლო, შიგ გვიარე უჯოხო, სწორედ ეს ანდაზა ზედ გამოჭრილია ქ. ოზურგეთზედ. ყოფილი ქ. მილიციის უფროსი ვილოდია ესაძე, რომელიც ქ. ბათომში იყო გადაყვანილი ბათომის ოლქის შემოერთების დღიდან ბათომის ქ. მილიციის უფროსის თანაშემწეთ და რომელიც გამოაძევეს მექრთამეობის გამო, დღეს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, ისევ ძველ ადგილს თხოულობს ქ. ოზურგეთში,—მასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემო აღნიშნული პიროვნება ისევ ძველებურად დადის ქალაქის ქუჩებში თავისი „პარაბელუმით“. განა ასეთ პიროვნებას, იარაღის ტარების უფლება უნდა ჰქონდეს?

„მკვიდრი“.

რაჭა. დასავლეთ საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ნაწილს რაჭის მაზრა შეადგენს; გეოგრაფიული მიდებარეობა ამ მხრის მეტათ მთაგორიანია, რადგანაც კავკასიის მთის კალთებია. ჰავა აქ კონტინენტალურია და სალი, ამისათვის ჩუმი ფორმის მალარიით და ყოველ გვარ სისხლნაკლულევნობით ავათ მყოფთათვის ძლიერ მოსახდენია, რადგანაც გამოკვლეულია, რომ მაღალი მთის ჰაერი სისხლს აჭლევებს, წითელი სორსლების გამრავლებით და გემოგლობინის მოცულობის გაფართოების საშუალებით.

რაჭის ჩრდილოეთ მხარეში (ზემო რაჭაში) არის სოფელი გლოლა ეს სოფელი სავსეა ნაძვის და ფიჭვის ტყეებით. აქ ატმოსფერა გაჟღენთილია ფიჭვის და ნაძვის სუნით, რომელიც შესდგება უმთავრესათ სკიპიდრისგან; ასეთი ნაძვნარის სურნელოვნობით გაჟღენთილი ატმოსფერა საუკეთესო საშუალებით ითვლება ექიმ კოხის ბაქტერიების მოსასპობათ; ეს ბაქტერიები სცხოვრობენ ფილტვებში და სისტემატიურათ ხრწნიან ამ ორგანოებს. არა ერთი და ორი ავათმყოფნი გამომრთელებულან ამ ნაძვნარში, ფილტვის კატარი, რომელიც თითქმის უმრავლეს შემთხვევაში ზედა ნაწილიდან იწყება, Staqii apicitis pulmanis) სრულიათ [illegible] აქ; ასეთ სამკურნალო ადგილს უთუოდ მიექცეს.

რაჭა ძლიერ მდიდარია სხვა და სხვა სამკურნალო წყლებით. მჟავე წყალი, რომელიც შეადგენს ნარევს: სოდის ნახშირ ბადი და სხვა და სხვა მადნეულობისას, საუკეთესოთ შველის კუჭის და ნაწლევების სნეულებას (კატარს).

მთელ მაზრაში ყოველ სოფელში ხშირათ ცივ ანკარა წყაროებს შეხვდებით. რაჭის მაზრა უგზოობით ძლიერ ჩამოშორებულია ცენტრს, როგორც კულტურულათ, ისე პოლიტიკურათ.

სალი ჰავის და მდიდარი ბუნების გამო, რაც ხელს უწყობს ადამიანთა ჯანმრთელობას, მთავარი მიზეზია იმისა, რომ აქ სიკვდილით შემთხვევა სნეულებითი ნიადაგზე ძალიან იშვიათია, მალარიით დაავადებულ ავადმყოფებს, რომლის ელენთა (ტყლიპი) უმწვერვალეს სიდიდეს წარმოადგენს აქ სულ არ მოიპოვება ასეთი შემთხვევა; ამგვარ სალ ჰიგიენურ პირობების გამო, რაჭაში ხალხი მეტათ მრავლდება საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, ეს პირობები ჰიგიენურათ სასიამოვნო მისაღებია, მხოლოდ ეკონომიურათ მიწის სივიწროვის გამო ხალხი ენით აუწერელ გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდის, რადგანაც მიწის მოედანი არამც თუ სახნავ სთესათ, სამოსახლოთაც კი არ ყოფნით, ამიტომ მცხოვრებლები საზღაპრო ეკონომიურ კრიზის განიცდიან. ასე რომ, ის ბუნებითი ჯილდო, რომელიც გამოიხატება წლიურ მოსავლის სიუხვეში, რაჭველებზე არ ვრცელდება უმიწობის გამო. სრულიათ უმნიშვნელო პროცენტი თუ მოიძებნება, რომ თავის გაორკეცებული შრომის ნაყოფით წლიური საზრდო მოიყვანოს. დიდს უმრავლესობას კიტაზართან აქვს საქმე სურსათის შესაძენათ. მიუხედავათ ასეთი ეკონომიური კრიზისისა, რაჭველი ხალხი მეტათ დინჯი კეთილ სინდისიერი და დაუღალავი შრომის მოყვარეა. ის თავის გაჭირვებას არავის არ ახვევს თავზე. შემდეგ მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციო შრომის დაქირავებაზე სოფლათ და განსაკუთრებით რაჭაში.

აქ არავითარი შრომის დაცვა არ სწარმოებს. უმიწაწყლო გლეხები იძულებული ხდებიან შიმშილის გამო გაქირავდენ არა შრომის დაცვის წესით, რომელიც რევოლიუციონური მონაპოვარია, და რომელიც რესპუბლიკას ერთ ერთ ძირითად კანონს შეადგენს, არამედ დამქირავებლის ნების თანახმათ.

ამნაირათ შრომის დაცვის კანონმდებლობა აქ სრულიათ არ გატარებულა. დიდი საშუალება იქნება ღარიბ უმიწაწყლო გლეხებისათვის, რომლებიც მხოლოდ შრომის გაქირავების ნაყოფიერებით სცხოვრობენ, რომ გავრცელებული იქნეს შრომის დაცვის კანონმდებლობა პროვინციებში.

პლატონ ხაღარაძე.

წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ „ერთობა“-ში ჩემს განცხადებას: სამ თვეზე მეტია, რაც მე ყოველგვარ კავშირი გავწყვიტე კომუნისტებთან და არც მინდა რაიმე კავშირი მქონდეს იმ პარტიასთან, რომლის მოქმედებაც მიმართულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ და, ჩემის აზრით დამღუპველია მუშათა საქმისთვის.

ვ. თოფურიძე.

—

ნება მომეცით თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო შორაპნის რაიონის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ, რომლებმაც შემოსწირეს ზესტაფონის ქალთა გიმნაზიას ცემენტი, რომლიდანაც ოცდა ერთი კასრი დაიხარჯა გიმნაზიის საჭიროებისათვის, ჩვიდმეტი კასრი მიეცა სესხად შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას და დანარჩენი გაიყიდა. აღებული ფულით დაფარულ იქნა ის ვალი, რომელიც გიმნაზიას ჰქონდა.

ზესტაფონის ქალთა გიმნაზიის სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარე **ნიკოლოზ კვინიკაძე**.

—

ბ. ზაქ რია გმინელს.

ქ. ზესტაფონის ქალ-ვაჟ თა გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს და მშობელთა წრის კომიტეტის შეერთებულ კრებაზე ჩემ მიერ წარმოთქმულ სიტყვის გამო, რომელიც თქვენ გეხებოდათ, მე მიწვევდით სამედიატორო სასამართლოში, რაც თქვენ კრებაზედვე ოფიციალურათ განაცხადეთ. მე იქვე გაგიცხადეთ თანხმობა და რომ არ დავიწყებოდით გამოგეგზავნეთ თქვენივე პარტიული ამხანაგი მოქ მ. გვალია. თქვენ კი როგორც ბ. გვალიამ გადმომცა თურმე ჩემს სიტყვებში ვერ დაგინახავთ საწინააღმდეგო ბრალდება. თუმცა კრებაზე თქვენ მოითხოვდით ჩემს სასამართლოში გამოწვევას, რითაც საზოგადოებას მიეცით საბაბი ეფიქრათ, ვითომც მე უსაბუთოდ ვილაპარაკე, ეხლა კი ბატონო, მაქრო, მე მოგითხოვ თქვენ თქვენი მუქარა შეასრულოთ. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ სამართლის სამსჯავროს წინაშე არ შედრკებით. მე კი მგონია, თქვენ, როგორც პედაგოგიური საბჭოს წევრმა გადადგით ისეთი ნაბიჯი, რომელიც ზნეობრივი თვალსაზრისით არ შეეფერებოდა თქვენს მდგომარეობას, რაც შემდეგში მდგომარეობს:

1) თქვენ თქვენი საქციელით, რაიც გამოიხატება თქვენ მიერ ამ ბინის დაკავებით, რომელიც უნდა დაეჭირა ყრილობის თავმჯდომარეს მიეცით საბუთი მას არ დაეცალა ყრილობის ბინა,

2) ყრილობის ბინის დაუცლელობით შეფერხდა ქალთა გიმნაზიის ახალ ბინაში მოთავსება, რის მეოხებით მოწაფეები ქუჩაში დაეხეტებოდენ და სწავლას სცდებოდენ.

3) თქვენ ამით, როგორც გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს წევრმა, ჩაიდინეთ დიდი ზნეობრივი დანაშაული, იცოდით რა, რომ თუ შინაძეს სახლში არ გადავიდოდა ყრილობის თავმჯდომარე, ამით გიმნაზიას დახურვა მოელოდა, რის აუცილებლობას თქვენც იცავდით ზემოაღნიშნულ კრებაზე.

მე საკითხს ზნეობრივ სფეროში ვსვამ და თქვენი მოვალეობაა დაამტკიცოთ, რომ ყველა ეს ზნეობრივ თვალსაზრისით დასაშვებია თქვენს პირობებში მყოფ ადამიანისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ნება გვიძლევა თქვენს საქციელს უწოდოთ შესაფერისი სახელი.

ე. მენაღარიშვილი.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

ყ. უფლ. გიმნაზ. დამთავრ. და გამგე ი. მ. მაჩაიძე, მათემატიკის
მასწავლებელი
ამზადებს ბავშვებს და მოზრდილთა მოწმობაზე 1, 2, 3, 4, 5, 6 კლ. შესასვლელად—საშუალო და უმაღ. დაწყებითი სასწავლ. აგრეთვე ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მატემატიკაში ენებში და სხვა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ალექსის ქ. კუთხიდან). 3—1 ს. 3—5 ს. (3483—6—1)

სპეციალისტი
მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს ღებულობს ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი გ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4 [illegible] კვირაობით მხოლოდ დილით. [illegible] ქ. № 33. 21 ნოე.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კარქის (ცირკინი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოყროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყ[illegible] საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი
სოლომონ ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2. ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38
(16—ნოემ.)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

პ. გ. ვარიანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვეზზის ქუჩის კუთხე რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ ბედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ, არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ცისტოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. თასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—ნოემ)

ექიმი
ქ. ცუეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 1/2 საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი“
რომელიც იღებს ყოველგვარ საკერავს და ასწავლის
ჭრა-კერვას
ქარგვას და სხვა და სხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში. აგრძელებს მოწაფეების მიღებას. მისამართი—ვერის დაღმართი № 3, ბინა 9. (3339 5—5)

კანტორა „კახური“
თამამშევის ქარვასლა, შტაბის პირდაპირ
მიღებულია და იყიდება
ფეხსაცმელები
ცალობით ბითუმად ფასების მიხედვით. ძაფები აბრეშუმის, და ჩვეულებრივი
(3473—2—2)

დაიკარგა
26 ოქტომბერს საღამოს ბათომიდან მომავალ მატარებელში მცხეთა-თფილისს შუა რევოლვერი „ბრაუნინგი“ № 160749 თავის ბოხჩით მნახველს ვთხოვ შემოიტანოს რუსთაველის პროსპექტზე № 7 გვარდიის აფთიაქის საწყობში გოგიბერიძეს, რაზედაც მიიღებს რევოლვერის ფასს. ა. გოგიბერიძე. (3469—3—2)

მეხილეთა კავშირი
„შემოქმედი“
(გურია)
რომლის წესდება მთავრობის მიერ დამტკიცებულია ამით აცხადებს, რომ კავშირს აქვს გასასყიდათ თხილი, ვაშლი და სხვა ხილი და აგრეთვე თაფლი. მისამართი წერილობითი და დეპეშით: შემოქმედი. მეხილეთა კავშირს. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება რედ. „გრუზიაში“ დ. მ. ღუმბაძესთან. (3462 2—2)